4.	კაპილარების ფორმა: ამოზნექილი; არასპეც: კლაკნილი /გადამკვეთითმის სამაგრისებრი (ამოზნექილი თავით)	თმის სამაგრისებრი (ამოზნექილი თავით)
5.	კაპილარების რაოდენობა (სიმკვრივე) 6-8(10) /1მმ	6-8(10) /1მმ
6.	კაპილარების განლაგება/ორიენტაციასიმეტრიული, პარალელური	სიმეტრიული, პარალელური
7.	ზოგადი კაპილარული სურათი: ერთგვაროვანი (მუდმივი) / არაორგანიზებულიერთგვაროვანი, რეგულარული	ერთგვაროვანი, რეგულარული
8.	სისხლის დენის ხასიათითანაბარი	თანაბარი
9.	მიკროჰემორაგიები არ აღინიშნება	არ აღინიშნება
10.	ანგიოგენური კაპილარი (განშტოებული)არ აღინიშნება	არ აღინიშნება
11.	სუბპაპილური ვენური ქსელი: არ იხილება / იხილება / გამოკვეთილიაიხილება 30%-ში	იხილება 30%-ში
12.	პერიკაპილარული შეშუპებაარ აღინიშნება	არ აღინიშნება
13.	ავასკულური ზონა: კეროვანი / დიფუზური არ აღინიშნება	არ აღინიშნება



კაპილაროსკოპიული ცვლილებიდან ერთმა ან მეტმა ნიშანმა უნდა მიუთითოს ექიმს **შემაერთებელი ქსოვილის დაავადების** შესაძლებლობის შესახებ, რომელიც ჯერ არ არის გამოვლენილი. ესენია:

* **გაფართოებული კაპილარები** (ან გიგანტური კაპილარები) – აუტორეგულაციური პასუხი ქსოვილოვან ჰიპოქსიაზე. ამგვარი კაპილარები აღმოჩენილია სისტემური სკლეროზის (SSc) მქონე პაციენტების 100%-ში, დერმატომიოზითი (DM) დაავადებული პაციენტების 86%-ში და არადიფერენცირებული შემაერთებელი ქსოვილის დაავადების (UCTD) მქონე პაციენტების 56%-ში;

* **კაპილართა განლაგების დარღვევა** – ნორმალური არქიტექტურული მოწყობის გამომხარული მოდიფიკაცია წარმოადგენს ადრეულ მორფოლოგიურ მახასიათებელს სისტემური სკლეროზისა. გარდა ამისა, პაციენტებში, რომლებსაც აქვთ ახლად გამოვლენილი რეინოს ფენომენი, ეს ცვლილებები შეიძლება იყოს კეროვანი ცალმხრივი ან გამომხატული ერთ თითზე;

* **ანგიოგენეზი** – კომპენსაციური პასუხი კაპილარის დაკარგვასა და/ან ქსოვილურ ჰიპოქსიაზე. გვხვდება სისტემური სკლეროზის გვიანი ფაზისას, ან როცა მეორეული რეინოს ფენომენი დაკავშირებულია დერმატომიოზიტსა ან შემაერთებელი ქსოვილის შერეულ დაავადებასთან;

* **კაპილარის დაკარგვა დაჰან ავასკულური ზონა** – შედეგი ქსოვილის კრიტიკული ჰიპოქსიისა;

* **მიკროშემორავიები** – შედეგი გაფართოებული/გიგანტური კაპილარის კოლაფსისა.

რასაკვირველია, ზემოჩამოთვლილი პათოლოგიური ცვლილებების გამოსავლენად გვაქვს სპეციფიკური მორფოლოგიური თუ რაოდენობრივი კრიტერიუმები.

გამოკვლევის ჩვენებები. რევმატოლოგიაში კაპილაროსკოპიული გამოკვლევის ძირითადი ჩვენებაა **რეინოს ფენომენი**, რომელიც ამ სფეროში ხშირი დიაგნოსტიკური პრობლემაა. ის გამოწვეულია ხელისა და ფეხის თითების მცირე არტერიების და არტერიოლების შექცევადი სპაზმით და პროვოცირებულია ცივი ტემპერატურითა და ემოციური სტრესით. ცვლილებები შესაძლოა აღინიშნოს ცხვირზე, ენასა და სხეულის სხვა აკრალურ ნაწილებზე. ის ჩვეულებრივ ვლინდება **სამი ფაზით**: იშემია, ასფიქსია და რეაქტიული ჰიპერემია – კანის სიფერმკრთალიდან, ციანოზსა და ერიოთემამდე. რეინოს ფენომენის სიხშირე მერყეობს 3-22%-ს შორის – პოპულაციაზე დაფუძნებული კვლევების მიხედვით. რეინოს ფენომენი შეიძლება იყოს კეთილთვისებიანი მდგომარეობა, რომელიც არ არის დაკავშირებული რომელიმე სხვა დაავადებასთან, ამ შემთხვევაში იგი განისაზღვრება, როგორც პირველადი რეინოს ფენომენი. ამასთანავე, რეინოს ფენომენი შეიძლება დაკავშირებული იყოს სხვა მდგომარეობებთან (მეორეული რეინოს ფენომენი), როგორცაა ზედა კიდურების არტერიული ან ნევროლოგიური დარღვევები, მავნე პროფესიული ფაქტორების ზემოქმედება (ვიბრაცია, მიკროტრავმა და ვინილის ქლორიდი), წამლის გვერდითი ეფექტები (ბეტა-ბლოკერები), ონკოლოგიური და ჰემატოლოგიური დარღვევები, როგორცაა დისგლობულინემია, მიელოპროლიფერაციული დარღვევები, პარანეოპლაზური სინდრომები და ჰიპოთირეოზი. ამ მდგომარეობათა უმეტესობა იოლად ამოცნობადია. თუმცა, მეორეული რეინოს ფენომენი, უმეტეს შემთხვევაში, წარმოადგენს **კოლაგენურ სის-**

ხლდარღოვანი დაავადების გამოვლინებას. მართლაც, რეინოს ფენომენი გვხვდება სისტემური სკლეროზის მქონე პაციენტების 80-95%-ში, შემაერთებელი ქსოვილის შერეული დაავადების მქონე პაციენტების 75%-ში და სისტემური ნითელი მგლურას ან რევმატოიდული ართრიტის მქონე პაციენტების 20-25%-ში. ამ დროს რეინოს ფენომენი ხშირად მრავალი წლით წინ უსწრებს ძირითადი დაავადების გამოვლენას. საგულისხმოა რამდენიმე კვლევის შედეგად დაფიქსირებული შემდეგი ფაქტიც: რეინოს ფენომენის მქონე პაციენტებში, რომლებიც არ აკმაყოფილებდნენ შემაერთებელი ქსოვილის დაავადების კრიტერიუმებს (შესაბამისად, ნახსენები ფენომენიც პირველად ფორმად იყო მიჩნეული), თუმცა უვლინდებოდათ აუტოანტისხეულები, **ანომალური კაპილარული სურათი** ან ორივე ერთად, 15-20%-ს საბოლოოდ, შემდეგი 2 წლის განმავლობაში ჩამოუყალიბდა აღნიშნული დაავადება.

რეინოს პირველადი და მეორეული ფორმის დიფერენცირებაში კაპილაროსკოპია მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ამ ტექნიკის საშუალებით ვლინდება მეორეული რეინოს ფენომენის **დამახასიათებელი ნიშნები** სისტემური სკლეროზისა და სკლეროდერმიული სპექტრის დარღვევათა კონტექსტში. მისი **პოტენციური გამოყენება** შესწავლილია სხვა რევმატულ დაავადებებშიც, როგორცაა: სისტემური ნითელი მგლურა, შეგრენის სინდრომი, ანტიფოსფოლიპიდური სინდრომი, რევმატოიდული ართრიტი და ა.შ., ასევე, სხვა არარევმატული დაავადებების დროს, როგორცაა: არტერიული ჰიპერტენზია, შაქრიანი დიაბეტი და სხვა.

ცხრილი №3: კაპილაროსკოპიის ჩატარების ჩვენებები

✓ ყველა პაციენტი რეინოს ფენომენით
- დიფერენციული დიაგნოსტიკა: პირველადი და მეორეული რეინოს ფენომენი
✓ ყველა პაციენტი სისტემური სკლეროზით
- დიაგნოსტიკური მიდგომა სისტემური სკლეროზის დროს
- სტადიის დადგენა სისტემური სკლეროზის დროს
- სისტემური სკლეროზის მქონე პაციენტების მკურნალობაზე პასუხის შეფასება / მონიტორინგი
✓ სკლეროდერმიული სპექტრის დარღვევების მქონე პაციენტების შეფასება
• დერმატომიოზიტი (DM)
• შემართ. ქსოვილის შერეული დაავადება (MCTD)
• არადიფერენცირებული შემაერთებელი ქსოვილის დაავადება (UCTD)
- დიფერენციული დიაგნოსტიკა (მაგ. დერმატომიოზიტი და პოლიმიოზიტი)
- მკურნალობაზე პასუხის შეფასება / მონიტორინგი
- ფილტვების ჩართულობის სკრინინგის საჭიროება
✓ ფილტვის იდიოპათიური ინტერსტიციული დაავადების დიაგნოსტიკური მიდგომა
✓ არასკლეროდერმიული სპექტრის დაავადებათა შეფასება
- სისტემური ნითელი მგლურა
- ანტიფოსფოლიპიდური სინდრომი
- შეგრენის სინდრომი
- რევმატოიდული ართრიტი



ამჟამად კაპილაროსკოპია ჯერ კიდევ არასაკმარისად გამოიყენება რევმატოლოგიურ პრაქტიკაში, ის უფრო მეტად ტარდება დერმატოლოგების ან ანგიოლოგების დანიშნულებით, რაც ახანგრძლივებს დიაგნოსტიკურ პროცესს და ზრდის მის ღირებულებას. აქვე, არ მოვერიდებით და აღვნიშნავთ იმ წინააღმდეგობებს, რომლებიც ხელს უშლის მეთოდის ყოველდღიურ პრაქტიკაში გამოყენებას. ესენია: კაპილაროსკოპიის ჩასატარებლად გაიდლაინების ნაკლებობა, კაპილაროსკოპიული პარამეტრების არაზუსტი ნორმალური დიაპაზონი და კაპილაროსკოპიული ნიმუშების არაზუსტი ინტერპრეტაცია. აღნიშნული კი საფუძველს ქმნის, გაგრძელდეს კვლევითი პროცესი ამ სფეროში, გაფართოვდეს მასშტაბები და შედეგად, გაიზარდოს ჩვენი თვალსაზრისი და ე.წ. „კაპილაროსკოპიული დიაგნოზის“ ვალიდურობა. ამ პროცესში ჩაბმის მზაობას თავადაც გამოვთქვამთ, მანამდე კი, ჩვენ ხელთ არსებული მნიშვნელოვანი ინფორმაციისა თუ დაგროვილი გამოცდილების თანხლებით, ვგეგმავთ, ავამუშავებთ და პოპულარიზაციას ვაუწყებთ ჩვენს ქვეყანაში კვლევის ამ მივლინებულ მეთოდს, რაც, ჩვენი ღრმა რწმენით, მასობრივი დაინტერესების შემთხვევაში, ჩვენს სფეროში მნიშვნელოვნად შეამცირებს დიაგნოსტიკურ დროსა (მათ შორის, დაავადების ადრეული გამოვლენის თვალსაზრისით) თუ დანახარჯებს.

კაპილაროსკოპიის დამატებითი შესაძლებლობები. კაპილაროსკოპია არ წარმოადგენს მხოლოდ იმ მეთოდს, რომელიც გამოიყენება ზედაპირული მიკროსისხლძარღვების in vivo ვიზუალიზაციისთვის ოპტიკური მიკროსკოპის საშუალებით; ის ასევე შეიძლება გამოიყენებულ იქნას კომპლექსურ მეთოდებთან კომბინაციაში – სისხლის ნითელი უჯრედების სიჩქარის, კაპილარული წნევისა და ფლუორესცენტური ტრანსკაპილარული დიფუზიის გასაზომად. ეს კი საშუალებას იძლევა, ადამიანებში ჩატარდეს ყოვლისმომცველი ფიზიოლოგიური და ფარმაკოლოგიური კვლევები.

ო კაპილარული სიჩქარე – ძლიერი გადიდება საშუალებას იძლევა კაპილარული მიმოქცევის ჰემოდინამიკური შეფასებისა, ვინაიდან სისხლის ნითელი უჯრედების გროვები იოლად ვლინდება კაპილარული მარყუხუბის გავლისას. მათი სიჩქარის რაოდენობრივი დადგენა შესაძლებელია კაპილარების გასწვრივ განლაგებულ ორ ან რამდენიმე ვიდეოენსიტომეტრულ ფანჯარას შორის მათი გადაადგილების დროის გაზომვით. ასევე არსებობს ინსტრუმენტები, რომლებიც აერთიანებს ლაზერულ დოპლერულ გაზომვებსა და კაპილაროსკოპიას, რაც იძლევა კაპილარული სიჩქარის პირდაპირი გაზომვის საშუალებას კონკრეტულ კაპილარში;

ო კაპილარული წნევა – ეპონიქიუმის კაპილარების კანულაცია შესაძლებელია მიკროპიპეტებისა და მიკრომანიპულატორების გამოყენებით და კაპილარული წნევა იზომება მოკლე დროში სპეციალურად შემუშავებული საზომი მონოპილობების გამოყენებით. ეს ტექნიკა არის როგორც ინვაზიური, ასევე მოითხოვს სპეციფიკურ მომზადებასა და უნარებს და გამოიყენება ძირითადად პათოფიზიოლოგიურ და ფარმაკოლოგიურ კვლევებში;

ო კაპილარული განვლადობა – ფლუორესცენტური საღებავი, როგორცაა ნატრიუმის ფლუორესცენინი, შეიძლება შევიყვანოთ ინტრავენურად და მისი გავლა კაპილარებში შეფასდეს ფლუორესცენტული მიკროს-

კოპით. პერიკაპილარული ფლუორესცენცია შეიძლება გაიზომოს სინათლის ინტენსივობის განსაზღვრით, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს მცირე მოლეკულების დიფუზიური გაცვლა.

ნორმალური და პათოლოგიური კაპილაროსკოპიული ნიმუშის დიფერენცირება კვლევის მთავარი მიზანია და უნდა აღინიშნოს საბოლოო დასკვნაში, რომელიც წარმოადგენს „კაპილაროსკოპიულ დიაგნოზს“. ეს უკანასკნელი მოითხოვს აუცილებელ მითითებას მიკროანგიოპათიის არარსებობის ან არსებობის შესახებ, ხოლო თავად პაციენტის დიაგნოზი ეყრდნობა კლინიკური გამოვლინების, ლაბორატორიული, იმუნოლოგიური, კაპილაროსკოპიული და სხვა ინსტრუმენტული კვლევის კომპლექსურ მონაცემებს.

ამრიგად, განვიხილეთ რა კაპილაროსკოპიის მზარდი მნიშვნელობა თანამედროვე მედიცინაში, უპირატესად წარმოვაჩინეთ მისი ჩატარების აუცილებლობა რეინოს ფენომენის დროს – მასთან ასორირებულ რევმატოლოგიურ დაავადებათა სკრინინგისა და შეფასების მიზნით. ამ მიდგომის ექვგარემო შეარგებლში დღეს უკვე ყველა თანხმდება და მასზე მიუთითებს უხვი ლიტერატურული მონაცემები. მიუხედავად ამისა, პერსპექტივებზე საუბრისას ვერ შემოვიფარგლებით მხოლოდ ზემოაღნიშნულით, ვინაიდან მიმდინარე კვლევები კვლავ აფართოებს კაპილაროსკოპიულ თვალსაზრისს. ფასდება კაპილარული სურათი სხვადასხვა არარეგულარული მდგომარეობისას და გარკვეულწილად, მონაცემთა შეჯერებით, დგინდება მახასიათებელთა ერთობლიობა (ჯერჯერობით ვერ დავარქმევთ სპეციფიკურ „სადიაგნოსტიკო ნიმუშს“). ასე რომ კაპილაროსკოპიული პრიზმის ჭრილში მოქცეულია ისეთ დაავადებათა შეფასება, როგორებიცაა: შაქრიანი დიაბეტი, გლაუკომა, ჰემატოლოგიური დაავადებები (როგორცაა ნამგლისებუჯრედული ანემია), დერმატოლოგიური დაავადებები (როზაცეა, ალოპეცია, კეთრი), კარდიოპულმონური დაავადებები და სხვანი. ამ დროს გამოვლენილი კლასიკური, დაგრძელებული, გაფართოებული კაპილარები და სისხლჩაქცევები შეიძლება იყოს ხშირი ნიშნანი, მაგრამ არა სტანდარტიზებული. მათი თანარსებობა სისტემურ დაავადებასთან შეიძლება მიუთითებდეს ადრეულ ენდოთელურ დისფუნქციაზე, რომელიც მოითხოვს ღრმა კლინიკურ შეფასებასა და თერაპიული მიდგომის გაუმჯობესებას.

ბავშვთა ლიტერატურა:

1. Mahnaz Etehad Tavakol et al. Nailfold Capillaroscopy in Rheumatic Diseases: Which Parameters Should Be Evaluated? Review Article. doi: 10.1155/2015/974530. Epub 2015 Sep 1.
2. Sevdalina Nikolova Lambova. Nailfold Capillaroscopy - Practical Implications for Rheumatology Practice. 2020; 16(2):79-83. doi: 10.2174/157339711602200415083444.
3. Cutolo, Maurizio. Atlas of capillaroscopy in rheumatic diseases. Edra. Kindle Edition.
4. Karin Melsens, Maurizio Cutolo et al. Standardized nailfold capillaroscopy in children with rheumatic diseases: a worldwide study. Rheumatology, 2023, 62, 1605–1615.
5. Maurizio Cutolo, Carmen Pizzorni, Alberto Sulli. Capillaroscopy. Best Practice & Research Clinical Rheumatology, Vol. 19, No. 3, pp. 437–452, 2005.
6. Maurizio Cutolo, Alberto Sulli, Vanessa Smith. How to perform and interpret capillaroscopy. Best Practice & Research Clinical Rheumatology 27 (2013) 237–248.



7. Sevdalina Nikolova Lambova aus Plovdiv. THE ROLE OF CAPILLAROSCOPY IN RHEUMATOLOGY. pp. 9-23, Gießen, 2011.

8. ALINA DIMA, IOANA BERZA, DANIELA NICOLETA POPESCU, MAGDA ILEANA PARVU. Nailfold capillaroscopy in systemic diseases: short overview for internal medicine. Sciendo. 2020.

9. Natalia Mansueto, Cinzia Rotondo, Addolorata Corrado, and Francesco Paolo Cantatore. Nailfold capillaroscopy: a

comprehensive review on common findings and clinical usefulness in non-rheumatic disease. The Journal of Medical Investigation Vol. 68 February 2021.

10. Vanessa Smitha, Ariane L. Herrickd, Francesca Ingegnolif et al. Standardisation of nailfold capillaroscopy for the assessment of patients with Raynaud’s phenomenon and systemic sclerosis. <https://doi.org/10.1016/j.autrev.2020.102458>

11. N.Jobava, G.Chalhunashvili Capillaroscopy in Rheumatic Diseases-2004-5.

რეზიუმე

კაპილაროსკოპიის დიაგნოსტიკური როლი და პერსპექტივა თანამედროვე მედიცინაში

ბ. ღუნაშვილი, ნ.ჯობავა, გ.ჩახუნაშვილი (საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაცია)

კაპილაროსკოპია წარმოადგენს უსაფრთხო და სწრაფ დიაგნოსტიკურ მეთოდს მიკროცირკულაციის მორფოლოგიური ცვლილებების გამოსავლენად. მისით დაინტერესება მნიშვნელოვნად მატულობს თანამედროვე მსოფლიოში, ვინაიდან კვლევას აქვს როგორც დიაგნოსტიკური, ასევე სკრინინგული და პროგნოზული ღირებულება სხვადასხვა რევმატული თუ არარევმატული მდგომარეობებისას და ასევე, არაინვაზიური, ხელმისაწვდომი მეთოდია. სურათის შეფასებისას ვსაზღვრავთ სხვადასხვა ხარისხობრივ თუ რაოდენობრივ პარამეტრს. კვლევის დიაგნოსტიკური ინტერპრეტაციისთვის ამოსავალი წერტილია მიკროცირკულაციური აპარატის ფუნქციონირების საფუძვლიანი ცოდნა, რაზე დაყრდნობითაც ვსაზღვრავთ პროცესის პათოფიზიოლოგიას, და წარმოადგენს სურათს ვუსადაგებთ უკვე ცნობილ სპეციფიკურ ნიმუშებს – სკლეროდერმიული სპექტრის დარღვევათა კონტექსტში. ამ ეტაპზე კვლევის ჩატატევის ჩვენება განისაზღვრება რეინოს სინდრომითა და მასთან დაკავშირებული პათოლოგიებით. თუმცა ბოლოდროინდელი კვლევების მიხედვით, მნიშვნელოვნად მატულობს მისი გამოყენება სხვა სისტემური არარევმატული პათოლოგიების დროსაც.

SUMMARY

DIAGNOSTIC ROLE AND PERSPECTIVE OF CAPILLAROSCOPY IN MODERN MEDICINE

G. GHUNASHVILI, N. JOBAVA, G. CHAKHUNASHVILI (Georgian Association of Children’s Cardiologists)

Capilloscopy is a safe and fast diagnostic method for detecting morphological changes in microcirculation. Interest in it is increasing significantly in the modern world, since this technique has not only diagnostic, but also screening and prognostic value in various rheumatic and non-rheumatic conditions, and it is also a non-invasive, affordable method. When evaluating the image, we determine various qualitative or quantitative parameters. The starting point for the diagnostic interpretation of the capillaroscopy is a thorough knowledge of the functioning of the microcirculatory apparatus, based on which we determine the pathophysiology of the process, and we apply the presented picture to already known specific patterns - in the context of disorders of the scleroderma spectrum. Recently the indication for conducting capillaroscopy is determined by Raynaud’s syndrome and related pathologies. However, according to recent studies, its use in other systemic non-rheumatic pathologies is significantly increasing.

ბავშვებში გულმკერდის არატრავმული ტკივილის (კარდიალგია) სამედიცინო შეფასებისა და მართვის თანამედროვე მიდგომები

ბ.ღუნაშვილი, გ.ჩახუნაშვილი (საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაცია)

ნებისმიერი ტკივილი გულმკერდის მარცხენა ნახევარში შეიძლება განვიხილოთ, როგორც კარდიალგია, სანამ მისი განვითარების ზუსტი ეტიოლოგია გაირკვევა. ეტიოლოგია. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებში ეტიოლოგია უმეტეს შემთხვევაში კეთილთვისებიანია, აღნიშნულმა სიმპტომმა შეიძლება გამოიწვიოს სკოლის გაცდენა და/ან ყოველდღიური აქტივობის შეზღუდვა და მნიშვნელოვანი შფოთვა პაციენტებსა და მათს ოჯახებში. ბავშვებში სიცოცხლისათვის საშიში მიზეზები მოიცავს შემთხვევათა 1-6%-ს. ისინი შეიძლება დავეყოთ კარდიულ და არაკარდიულ მიზეზებად. გულისმიერი მდგომარეობები: ჰიპერტროფიული კარდიომიოპათია, ტაკოცუბოს კარდიომიოპათია, აორტის სტენოზი, აორტის კოარქტაცია, კორონარული არტერიის ანომალიები (მაგ., კავასა-

კის დაავადება, ანომალური კორონარული არტერიები), სტენოკარდიის ვარიანტი რეკრუციული ნარკოტიკების გამოყენების შემდეგ (მაგ. კოკაინი, ამფეტამინები, აბაზანის მარილები [მეთკანთინონები], მარისუანა და სინთეზური კანაბინოიდები), კლასიკური სტენოკარდია (ადრეული ათეროსკლეროზული დაავადება ჰიპერლიპიდემიით ან შაქრიანი დიაბეტით), პერიკარდიტი, მიოკარდიტი, ენდოკარდიტი, დილატაციური კარდიომიოპათია, ტაქიარითმიები, აორტის ანევრიზმა ან დისექცია, ვალსალვას ანევრიზმის სინუსის რუპტურა, ჰიპერტენზიული კრიზი, პოსტპერიკარდიოტომიური სინდრომი.

სიცოცხლისათვის არასახიფათო მიზეზები მოიცავს შემთხვევათა 94-99%-ს.

ცხრილი №1: სიცოცხლისათვის არასახიფათო არაკარდიული მდგომარეობები

ჩონჩხ-კუნთოვანი სისტემის მდგომარეობები:

- ✓ კუნთების დამაბეზა
- ✓ კოსტოქონდრიტი
- ✓ მცურავი წეკნების სინდრომი
- ✓ წეკნის მოტეხილობა/კონტუსია
- ✓ პრეკორდიალური „მოჭერა“ (Texidor twinge)
- ✓ ფიბრომიალგია
- ✓ Pectus excavatum ან carinatum

ფსიქიატრიული:

- ✓ შფოთვა
- ✓ პანიკური აშლილობა, ჰიპერვენტილაციის სინდრომით ან მის გარეშე
- ✓ დეპრესია
- ✓ ჰიპოქონდრიაზი
- სომატიზაცია

რესპირაციული:

- ✓ პნევმონია (შეიძლება იყოს სიცოცხლისათვის საშიში)
- ✓ ასთმა (შეიძლება იყოს სიცოცხლისათვის საშიში)
- ✓ ქრონიკული ხველა კუნთების დამაბეზით ან, თუ ძლიერია, წეკნის მოტეხილობით
- ✓ სპონტანური პნევმოთორაქსი

კუჭ-ნაწლავისმხრივი:

- ✓ გასტროენტეროლოგიური რეფლუქს-დაავადება
- ✓ მედიკამენტებით გამოწვეული ენოფაგატი
- ✓ საყლაპავის უცხო სხეული
- ✓ საყლაპავის სპაზმი და აქალაზია
- ✓ გასტრიტი
- ✓ პეპტიური წყლული
- ✓ გალიზიანებული ნაწლავის სინდრომი
- ✓ ქოლევისტიტი
- ✓ პანკრეატიტი
- ✓ ჰეპატიტი

ბუკუ:

- ✓ მამრობითი მოზარდები: გინეკომასტია
- ✓ მდედრობითი მოზარდები: ორსულობა, ტელარქე, მასტიტი ან ფიბროკისტოზური დაავადება

იდიოპათიური

გულის დაავადება უფრო სავარაუდოა, თუ გულმკერდის ტკივილი აღმოცენდება დატვირთვის დროს ან ასოცირდება: პალპიტაციასთან, სინკოპესთან, ფიზიკური დატვირთვისადმი ამტანობის დაქვეითებასთან. მიოკარდიუმის **იმემიის მაღალი რისკის** ქვეშ არიან ბავშვები: გულის თანდაყოლილი მანკით, გულის ტრანსპლანტაციით, ნამლის ბოროტად მოხმარებით, გადატანილი კავასაკის დაავადებით, სისტემური არტერიოპათიით (ვილიამსის სინდრომი), მძიმე ოჯახური ჰიპერქოლესტერინემიით. გაზრდილი რისკი აქვთ ასევე ბავშვებს, რომელთაც აღენიშნებათ კარდიომიოპათიის, არითმიის ან უეცარი სიკვდილის პოზიტიური ოჯახური ანამნეზი 50 წლამდე ასაკში. გვასსოვდეს, რომ პაციენტებში, რომლებსაც აქვთ გულის ცნობილი დაავადება, გულმკერდის ტკივილი შეიძლება მიუთითებდეს ძირითადი მდგომარეობის პროგრესირებაზე. ზემოაღნიშნული პაციენტები საჭიროებენ სასწრაფო კონსულტაციას ბავშვთა კარდიო-რევმატოლოგთან.

იმვითა, თუმცა საჭიროა ვიცოდეთ კორონარული არტერიის ის შესაძლო დარღვევები, რომლებიც იწვევენ ბავშვებში გულმკერდის ტკივილს (ცხრილი 2)

კლასიკური სტენოკარდია, მიუხედავად იმისა, რომ იშვიათია ბავშვებსა და მოზარდებში, **წინასწარგანწყობის ფაქტორთა** არსებობისას, როგორცაა ჰიპერლიპიდემია, გადატანილი კავასაკის დაავადება კორონარული არტერიის ანევრიზმებით ან სტენოზებით, ან კოლაგენურ-სისხლძარღვოვანი დაავადება (მაგ., სისტემური წითელი მგლურა) – შეიძლება განვითარდეს კლასიკური სტენოკარდია, რომელიც გულისხმობს: სუბტერნალურ ტკივილს, ქვედა ყბასა ან მარცხენა მხარში ირადიაციასა და დიაფორეზთან ერთად. ასევე შესაძლოა გამოვლინდეს გულისრევა და ლებინება, სუნთქვის გაძნელება ან მენტალური სტატუსის შეცვლა.

კორონარული ვაზოსპაზმი (ვარიანტული სტენოკარდია) და მიოკარდიუმის ინფარქტი გულმკერდის ტკივილის იშვიათი მიზეზია ბავშვებსა და მოზარდებში. კორონარული სისხლძარღვების სპაზმი დაკავშირებულია სტენოკარდიასთან, ტრანზიტორულ იმემიურ ცვლილებებთან ეკგ-ზე ტკივილის ეპიზოდების დროს, კარდიული ფერმენტის მომატებასა და ST სეგმენტის ელევაციასთან ამბულატორიული ეკგ მონიტორინგისას. ვარიანტული სტანოკარდია მიოკარდიუმის ინფარქტთან ერთად აღწერილია მოზარდებში კოკაინის, ამფეტამინების, მარისუანას და სინთეზური კანაბინოიდების გამოყენების შემდეგ.


სიმპტომატიკის შეფასება. გულმკერდის ტკივილის შემდეგი ტიპის გამოვლინებები დაკავშირებულია პოტენციურად სიცოცხლისთვის საშიშ მიზეზებთან ბავშვებში:

- * **კლასიკური სტენოკარდიული ტკივილი** (მაგ. სუბსტერნალური, მოჭერთი, ირადირებით მარცხენა მხარსა ან ქვედა ყბაზე და ასოცირებული ლებინებასთან, დიაფორეზთან, ფსიქიკური მდგომარეობის შეცვლასა ან ქოშინთან);
- * **ძლიერი ტკივილი, რომელიც ხშირად ირადირებს ზურგისკენ** (აორტის დისექცია);

- * **პლევრიტული ტკივილი სუნთქვის გაძნელებით** (პნევმონია, პნევმოთორაქსი, ფილტვის ემბოლია ან ნამგლისებრუჯრედოვანი დაავადების მქონე პაციენტებში – მწვავე გულმკერდის სინდრომი);
- * **ვარჯიშის დროს ტკივილი ან დატვირთვის აუტან-**



გზამკვლევი პედიატრიული კარდიოლოგიის შიფტსაბაში



ლობა ტაქიპნოეს ან დალილობის გამო, რომელიც გამონვეულია მიოკარდიუმში ჟანგბადის მინოდების შეზღუდვით (მიოკარდიუმის იშემია, კორონარული ანომალიები, კარდიომიოპათია);

* **მკვეთრი, რეტროსტერნალური ტკივილი, რომელიც ძლიერდება წოლისას,** ზოგჯერ ირადირებს მარცხენა მხარზე და ხშირად ასოცირდება ცხელებასთან (პერიკარდიტი);

* **კოკაინის, ამფეტამინების, სინთეზური კანაბინოიდების, მარიხუანას ან სხვა ვაზოაქტიური პრეპარატების** (მაგ., ხველების და გაციების პრეპარატების) გამოყენებით გამოწვეული ტკივილი, რაც მიუთითებს ვარიანტულ სტენოკარდიაზე;

გვახსოვდეს, იშემიური ტკივილი არის დიფუზური დისკომფორტი, რომლის ლოკალიზაცია ხშირად რთულია, ხშირად ვლიდება, როგორც უეცარი **შფოთვითი** შეტევა. ხოლო უფროს ბავშვებში შესაძლოა ჰქონდეს ტიპური ანგინური სტატუსი.

ცხრილი №2: გულმკერდის ტკივილის კორონარული მიზეზები ბავშვებში

1. მარცხენა კორონარული არტერიის ანომალიური გამოსვლა ფილტვის მთავარი არტერიიდან (კორონარული არტერიის ფისტულა)
2. მარცხენა კორონარული არტერიის ანომალიური გამოსვლა ვალსალვას მარჯვენა სინუსიდან
3. მარჯვენა კორონარული არტერიის ანომალიური გამოსვლა ვალსალვას მარცხენა სინუსიდან
4. კორონარული ხერელის სტენოზი ან ატრეზია
5. ნაადრევი ათეროსკლეროზი (მაგ. პროგერია, ოჯახური ჰიპერლიპიდემია)
6. კავასაკის დაავადება, რომელიც გართულებულია კორონარული არტერიის ანევრიზმით ან სტენოზით
7. კორონარული არტერიის სპაზმი
8. კორონარული თრომბოზი, დაკავშირებული პარადოქსულ ემბოლიასთან ან ჰიპერკოაგულაციურ მდგომარეობასთან

დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვებში გულმკერდის ყაფაზის შეფასებას, რადგანაც გულმკერდის პირველადი ტკივილის დროს სწორედ გულმკერდის ყაფაზზე მოქმედი მდგომარეობები შეადგენს ყველა შემთხვევის 31%-ს და იდენტიფიცირებული მდგომარეობის მქონე პაციენტების 2/3-ს. სპეციფიკური მანევრებით შესაძლებელია ისეთი სინდრომების გამოვლენა, როგორებიცაა: მცურავი ნეკნის სინდრომი, კოსტოქონდრიტი, ასევე, გულმკერდის დეფორმაციები „ძაბრისებური გულმკერდისა“ და „მტრედის გულმკერდის“ სახით. ეს პაციენტები ხშირად საჭიროებენ ელექტროკარდიოგრაფიულ სკრინინგსა და გულმკერდის რენტგენოგრაფიას.

განსაკუთრებული როლი ენიჭება **ექოკარდიოსკოპიას** გულმკერდის ტკივილის მქონე ბავშვებში. აქვე დავასახელებთ იმ რამდენიმე **ჩვენებას**, რომელიც განხილულ პრობლემას უკავშირდება, ესენია:

* ანამნეზში გულმკერდის ტკივილი ან დატვირთვის დროს სინკოპე;

* გულმკერდის ტკივილი, რომელიც დაკავშირებულია ცხელებასთან (>38,5°C);

* გულმკერდის ტკივილი, რომელიც ირადირებს ზურგისკენ, ყბაში, მარცხენა მხარზე ან ძლიერდება მწოლიარე მდგომარეობაში;

* ანომალური ეკგ (მაგ., მარჯვენა ან მარცხენა პარკუჭის ჰიპერტროფია, ST სეგმენტის ცვლილება >2მმ, დაბალი QRS ვოლტაჟი, PR სეგმენტის დეპრესია, S კბილი I განხრაში, Q კბილი III განხრაში, ან ინვერსიული T კბილი III განხრაში).

მიუხედავად აღნიშნულისა, ექოკარდიოგრაფია **არ არის საკმარისი** მიოკარდიუმის ინფარქტის დიაგნოზის დასადგენად, რადგან რეგიონული კუმშვადობის დარღვევა შეიძლება სიმპტომატიკის დანყებიდან გაცილებით გვიან გამოჩნდეს.

ლაბორატორიული მაჩვენებლების შეფასებისას კი უნდა გავითვალისწინოთ, რომ მართალია **ტროპონინი** ძლიერ სპეციფიკურია მიოკარდიუმის დაზიანებისთვის, თუმცა ის არ არის სპეციფიკური მწვავე კორონარული სინდრომისთვის (როგორც იშემიის მიზეზი).



ცხრილი №3: გულმკერდის ტკივილის ხასიათისა და ცვლილების დიფერენცირება სხვადასხვა პათოლოგიის დროს

ტკივილის მიზეზი	ტკივილის ტიპი	ტკივილის გადაცემა	პასუხი პოზიციის შეცვლაზე	პასუხი საკვება ან სითხეზე	პალპაცია	პასუხი ნიტროგლიცერინზე
იმემიური	ვისცერული	⊕	-	-	-	⊕
არაიმემიური კარდიული	ვისცერული	⊕	-	-	-	-
ფილტვების დაავადებები	ვისცერული	ჩვეულებრივ (-)	-	-	-	-
პნევმოთორაქსი	ვისცერულ/ზედაპირული	-	⊕	-	-	-
მვალკუნთოვანი	ზედაპირული	-	⊕	-	⊕	-
კუჭ-ნაწლავის დაავადებები	ვისცერული	ზოგჯერ	-	⊕	-	-
აორტის ანევრიზმა	ვისცერული	⊕	-	-	-	-
ფსიქიატრიული	ვარიაბელური	-	-	-	-	-

ცხრილი №4: ლაბორატორიული მაჩვენებლების დინამიკა გულმკერდის ტკივილის დროს

მარკერი	საწყისი მომატება ინფარქტის შემდეგ	პიკური მომატების საშუალო დრო	საწყისი მაჩვენებლამდე დაბრუნების დრო
მიოგლობინი	1 – 4 სთ	6 სთ	18 - 24 სთ
CK-MB	3 – 12 სთ	10 – 24 სთ	48 – 72 სთ
ტროპონინი I	3 – 12 სთ	10 – 24 სთ	5 – 10 დღე
ტროპონინი T	3 – 12 სთ	12 – 24 სთ	5 – 14 დღე

ამასთანავე, ბავშვებში მიოკარდიტი ხშირად არის ტროპონინის მომატების მიზეზი.

მართვა. გულმკერდის ტკივილის მქონე არასტაბილური პაციენტები საჭიროებენ ჰოსპიტალიზაცი-

ას პედიატრიული ინტენსიური თერაპიის, პედიატრიული კარდიოლოგიისა და სხვა პედიატრიული სუბსპეციალობის მქონე დანესებულეებში; **სტაბილურ პაციენტებს შემაშფოთებელი გამოვლინებებით** სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობებისას უნდა ჩატარდეს კონსულტაცია შესაბამის სპეციალისტთან. ამ პაციენტთაგან ბევრი ჰოსპიტალიზაცია შემდგომი გამოკვლევისთვის; **სტაბილური პაციენტები ხშირი გამოვლინებებით** შეიძლება გაენერონ დამატებითი პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ან სპეციალიზებული მეთვალყურეობის შემდეგ, როგორც ეს განისაზღვრება ძირითადი ეტიოლოგიით.


როდესაც გულმკერდის ტკივილის მიზეზად გულისმიერი ეტიოლოგია, კერძოდ იშემია ან ინფარქტი დადასტურდება, ამ შემთხვევაშიც მართვისას საჭიროა დიფერენცირებული მიდგომა (ცხრილი 5)

ცხრილი №5: გულმკერდის იშემიისა და ინფარქტის მართვა


კლინიკური მდგომარეობა	მართვის სტრატეგია
ST-ელევაციური მიოკარდიუმის ინფარქტის მქონე პაციენტები კორონარული არტერიის თრომბული ოკლუზიით, დაავადების მწვავე/ქვემწვავე ფაზას მიღმა	დაუყოვნებელი ანგიოგრაფია მიოკარდიუმის სისხლის ნაკადის მექანიკური აღდგენით;
ბავშვები დაავადების მწვავე/ქვემწვავე ფაზაში ან ისინი, ვინც არ არიან გულის კათეტერიზაციის კანდიდატები	ალტერალაზა 0.5 მგ/კგ საათში, ინტრავენურად ექვსი საათის განმავლობაში + ასპირინი 3-დან 5 მგ/კგ დღეში + ჰეპარინი 10 ერთეული/კგ საათში
ბავშვები დიდი თრომბული მასითა და ოკლუზიის მაღალი რისკით	ალტერალაზა 0.25 მგ/კგ ინტრავენურად საათში + ამბიქსიმამი საწყისი ბოლუსის სახით 0.25 მგ/კგ 30 წუთის განმავლობაში, რასაც მოჰყვება ინფუზია 0,125 მგ/კგ წუთში 12 საათის განმავლობაში
ექოკარდიოგრაფიულად ახალი არაოკლუზიური თრომბის გამოვლენა	ამბიქსიმამის შეყვანა ჰეპარინთან ერთად დაბალი დოზით (10 ერთეული/კგ საათში) - საპრევენციოდ
მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის შემდეგ	ბეტა-ბლოკერები , ანგიოტენზინ-გარდამქმნელი ფერმენტის ინჰიბიტორები ან ანგიოტენზინ II რეცეპტორების ბლოკერები და ალდოსტერონის ანტაგონისტები



ცვლილებები კარდიალგიის მქონე 6 წლის გოგონას ეკგ-ზე



6 თვიანი დინამიკა კარდიალგიის მქონე 5 წლის ბავშვის ეკგ-ზე მკურნალობის ფონზე




ბოლოს, წარმოგიდგინო ჩვენეულ კლინიკურ შემთხვევებს, კარდიალგიის მქონე ბავშვებში საკვანძო ელექტროკარდიოგრაფიული ცვლილებების დაფიქსირებითა და ამ უკანასკნელის დინამიკის შეფასებით:

ბავშვთა კარდიოლოგია

1. Robert L Geggel, MDERin E Endom, MD. Causes of nontraumatic chest pain in children and adolescents. <https://www.uptodate.com/contents>; updated: Apr 08, 2022.
2. Robert L Geggel, MDERin E Endom, MD. Nontraumatic chest pain in children and adolescents: Approach and initial management. <https://www.uptodate.com/contents>; updated: Jun 23, 2022.
3. Jane W Newburger, MD, MPH Sarah D de Ferranti, MD, MPH David R Fulton, MD. Cardiovascular sequelae of Kawasaki disease: Management and prognosis - Myocardial infarction and coronary thrombosis. <https://www.uptodate.com/contents>; updated: Feb 10, 2022.
4. დ. მგალობლიშვილი, რ. თათარაძე, ვ. ჭუმბურიძე, გ. კაჭარავა, ლ. ყურაშვილი, ნ. გონჯილაშვილი, ნ. ახალაძე, გ. პაპიაშვილი, პ. სულაბერიძე. გულმკერდში ტკივილის მართვა, კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი). 2007.
5. Н.А. Белоконь, М.А. Кюбергер. Болезни сердца и сосудов у детей. аномалии развития и болезни коронарных артерий. инфаркт миокарда. ст. 223-227. Том 2. "Медицина" 1987.

6 თვიანი დინამიკა კარდიალგიისა და გულის ფრიალის მქონე 8 წლის ბავშვის ეკგ-ზე მკურნალობის ფონზე



რეზიუმე

ბავშვებში გულმკერდის არატრავმული ტკივილის (კარდიალგია) სამედიცინო შეფასებისა და მართვის თანამედროვე მიდგომა

*ბ.ღუნაშვილი, გ.ჩახუნაშვილი
(საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაცია)*

გულმკერდის ტკივილი ბავშვებსა და მოზარდებში ხშირი სიმპტომია. მისი გამომწვევი მიზეზი, ჩვეულებრივ, კეთილთვისებიანია პაციენტთა ამ პოპულაციაში. საფუძვლიან ანამნეზსა და ფიზიკალურ გამოკვლევას, როგორც წესი, შეუძლია დაადგინოს მიზეზი და გამოყოს პაციენტები, რომლებსაც ესაჭიროებათ შემდგომი დიაგნოსტიკური კვლევები და დაუყოვნებელი ჩარევა მათგან, რომელთა მართვაც შესაძლებელია დამწვიდებითა და შემდგომი დაკვირვებით. გულმკერდის ტკივილის მქონე ბავშვების უმეტესობას არ აქვს ისეთი ანამნეზი, რომელიც მიუთითებს სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობებზე და ფიზიკური გამოკვლევა შეესაბამება კუნთოვან ეტიოლოგიას. შემდგომი კვლევები არ არის საჭირო იმ პაციენტებში, რომლებთანაც შესაძლებელია გულის დაავადების გარდა



სხვა ამკარა ეტიოლოგიის დადგენა. დიაგნოსტიკური კვლევები (მაგ., ეკგ, გულმკერდის რენტგენოგრაფია ან ექო-კარდიოგრაფია) გამართლებულია პაციენტებში, რომლებსაც აქვთ პათოლოგიური ფიზიკური გამოვლინებები ან თანმხლები სიმპტომები (მაგ., დატვირთვისას სინკოპე, პალპიტაცია, ქოშინი, ცხელება ან გულმკერდის ტკივილი, რომელიც დაკავშირებულია დატვირთვისასთან), რაც მიუთითებს ფილტვების ან გულის დაავადებაზე. ელექტრო-კარდიოგრაფია ასევე უნდა იქნას გადაღებული, როდესაც არაკარდიული მიზეზი (მაგ. კოსტოქონდრიტი, პნევმონია, გასტროეზოფაგური რეფლუქსი, მედიკამენტური ეზოფაგიტი ან საყლაპავის უცხო სხეული) ვერ დადასტურდება. გულმკერდის ტკივილის მქონე ბავშვებისა და მოზარდების შეფასება და პირველადი მართვის სტრატეგია განისაზღვრება მათი კლინიკური სტატუსის, ანამნეზისა და ფიზიკალური გამოკვლევის საფუძველზე. ბავშვები გულმკერდის ტკივილითა და გულის ცნობილი დაავადებით ან ნებისმიერი გამოვლინებით, რომელიც მიუთითებს გულისმიერ ეტიოლოგიაზე – ანამნეზში, ფიზიკალური გამოკვლევისას ან ეკგ-ზე, საჭიროებენ სასწრაფო კონსულტაციას ბავშვთა კარდიოლოგთან. არატრავმული გულმკერდის ტკივილის მქონე ბავშვებისა და მოზარდების 99%-ს, რომელთაც აქვთ კეთილთვისებიანი მიზეზი, ყველაზე ხშირად, გულმკერდის კუნთოვანი ტკივილი – შეიძლება განერონ დამატებითი პირველადი სამედიცინო დახმარების შემდგომ ან შესაბამისი სპეციალისტის დანიშნულებით, რომელიც განისაზღვრება ძირითადი ეტიოლოგიის მიხედვით.

SUMMARY

MODERN APPROACHES TO MEDICAL ASSESSMENT AND MANAGEMENT OF NON-TRAUMATIC CHEST PAIN (CARDIALGIA) IN CHILDREN

G. GHUNASHVILI, G. CHAKHUNASHVILI (Georgian Association of Children's Cardiologists)

Chest pain is a common symptom in children and adolescents. Its underlying cause is typically benign in this patient population. A thorough history and physical examination usually can determine the cause and differentiate patients who require further diagnostic studies and acute intervention from those who can be managed with reassurance and continued follow-up. Most children with chest pain have no history suggestive of life-threatening conditions and either a normal physical examination or findings consistent with a musculoskeletal etiology. Further investigations are not needed in patients for whom a clear etiology, other than cardiac disease, can be established. Diagnostic studies (eg, ECG, chest radiograph, or echocardiogram) are warranted in patients with abnormal physical findings or with associated symptoms (eg, exertional syncope, palpitations, dyspnea, fever, or chest pain associated with exertion) that suggest underlying pulmonary or cardiac disease. An ECG should also be obtained when a noncardiac etiology (eg, costochondritis, pneumonia, gastroesophageal reflux, pill esophagitis, or esophageal foreign body) cannot be established. The approach and initial management of children and adolescents with chest pain is determined by their clinical status on presentation and findings on history and physical examination. Children with chest pain and known heart disease or any of the findings that suggest a cardiac cause on history, physical examination, or ECG warrant prompt consultation with a pediatric cardiologist. Up to 99 percent of children and adolescents with nontraumatic chest pain have a benign cause, most frequently musculoskeletal chest pain, and can be discharged with additional primary care or specialty follow-up determined by the underlying etiology.

კაპილაროსკოპიული ცვლილებები სისტემური სკლეროზის დროს

ირ. ლლონტი, ნ.ჯოგაძე, მ.ჩახუნაშვილი (ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაცია)

სისტემური სკლეროზი ეს არის შემაერთებული ქსოვილისა და წვრილი სისხლძარღვების ქრონიკული სისტემური დაავადება, რომელიც მიმდინარეობს კანისა და შინაგანი ორგანოების ფიბროზულ-სკლეროზული ცვლილებებით.

ზუსტი ეტიოლოგია ცნობილი არ არის, თუმცა დაავადების პროვოცირება ხდება გაცივებით, ტრავმით, ინფექციებით, ვაქცინაციით და სხვა. დაავადება ჩვეულებრივ იწყება რეინოს სინდრომით (ვაზომოტორული დარღვევებით), ტროფიკის დარღვევებით ან მყარი ართრალგიებით, ვითარდება წონაში კლება, სხეულის ტემპერატურის მომატება. სისტემური სკლეროზი მია თანდათანობით ან სწრაფად იძენს მრავალსინდრომული დაავადების თვისებებს. კანის დაზიანება წარმოადგენს დაავადების პათოგნომურ ნიშანს. ეს არის გავრცელებული მკვრივი შეშუპება, შემდგომში კანის გამკვრივებითა და ატროფიით. განსაკუთრებულ ცვლი-

ლებებს განიცდის სახისა და კიდურების კანი, ზოგჯერ მთელი სხეულის კანი მკვრივდება.

ერთდროულად ვითარდება კეროვანი ან გავრცელებული პიგმენტაცია, დეპიგმენტაციის უბნებით, ტელეანგიექტაზიებით. დამახასიათებელია დაწყობილებები და ჩირქგროვები თითების ბოლოებზე, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ ხორცდება და მეტად მტკივნეულია. ვლინდება ფრჩხილების დეფორმაცია, თმის ცვენა გამელოტებამდე და ტროფიკის სხვა დარღვევები.

1925 წელს ბრაუნმა და ო'ლირიმ აღწერეს კანის კაპილაროსკოპიული ცვლილებები სისტემური სკლეროზის დროს მქონე პაციენტებში, რომელიც მოიცავდა გიგანტურ კაპილარულ მარყუჟებს, წაგრძელებულ კაპილარებს და კაპილარების რაოდენობრივ შემცირებას. მოგვიანებით, Maricq et al. ჩაატარა ვრცელი კვლევა კაპილაროსკოპიულ ცვლილებებზე სისტემური სკლე-



როზის დროს. ავტორებმა ასევე შემოგვთავაზეს ტერმინი „სკლეროდერმის“ 3 ტიპის კაპილაროსკოპიული ნიმუში, რომელიც ხასიათდება გიგანტური კაპილარების, სისხლჩაქცევების, ავასკულარული უბნების და განმტოებული კაპილარული მარყუჟების არსებობით.

„სკლეროდერმიის“ ტიპის კაპილაროსკოპიული ნიმუში გვხვდება პაციენტთა უმრავლესობაში (შემთხვევათა > 90%), რაც ასოცირდება დაავადებაში რეინოს ფენომენის მაღალ გავრცელებასთან.

თავდაპირველად, Maricq et al. ვარაუდობდა სისტემურ სკლეროზში კაპილაროსკოპიული ცვლილებების ორი ძირითადი კატეგორიის არსებობას – „აქტიური“ და „ნელი“ კაპილაროსკოპიული ნიმუში. ამ აღწერას თან ახლდა ჰიპოთეზა კაპილაროსკოპიულ ცვლილებებსა და დაავადების აქტივობასა და პროგრესირებას შორის კორელაციის შესახებ. კაპილარების მძიმე დაზიანების არსებობას, ფართო ავასკულარული უბნებით და ახალი სისხლძარღვების წარმოქმნით ეწოდა „აქტიური“ ტიპის „სკლეროდერმიის“ ტიპი და ვარაუდობდნენ, რომ ასოცირდებოდა დაავადების აქტივობასთან, დაავადების პროგრესირების ტენდენციასთან და ცუდ პროგნოზთან. გიგანტური კაპილარული მარყუჟების დიდ რაოდენობას, მსუბუქი კაპილარული დაზიანებით ეწოდა „ნელი“ ტიპის „სკლეროდერმიის“ ტიპის და ითვლებოდა, რომ გამოხატავდა დაავადების დაბალ აქტივობას.

კაპილაროსკოპიული ცვლილებების სტადია Maricq et al და Cutolo et al-ს მიხედვით

Maricq et al-ს მიხედვით	Cutolo et al-ს მიხედვით
<ul style="list-style-type: none"> • „ნელი“ – დიდი რაოდენობით გიგანტური კაპილარული მარყუჟები, კაპილარების მსუბუქი დაზიანებით. • „აქტიური“ – ავასკულარული უბნებით და ნეოანგიოგენეზის უბნები. 	<ul style="list-style-type: none"> • ადრეული - რამდენიმე გიგანტური კაპილარი, რამდენიმე მიკროჰემორაგია, შენარჩუნებული კაპილარული განაწილება და სიმკვრივე. • „აქტიური“ - მეგაკაპილარების და მიკროჰემორაგიების რაოდენობა უფრო მაღალია; არის კაპილარების ზომიერი დაზიანება და კაპილარების ტროფიკის დარღვევა • ფართო ავასკულარული უბნები და ნეოანგიოგენური კაპილარული მარყუჟები.


ფრჩხილის კაპილაროსკოპიული ცვლილებების არასიმომეტრიურობა სისტემური სკლეროზის დროს.

კაპილაროსკოპიული ნიმუშები სისტემური სკლეროზის დროს.

მახასიათებლები	ადრეული	აქტიური	გვიანი
განლაგება	კარგად გამოხატული	შეცვლილი (მცირედი)	დარღვეული
კაპილარების ლოკალური დაკარგვა	+	++	+++
ავასკულური ზონა	-	-	+++
ჰემორაგიები	+	+++	(+)
დიდი ზომის კაპილარები	+	+++	(+)
ნაგრძელებული კაპილარები	+	++	+++
განმტოებული კაპილარები	-	+	+++

მიკროანგიოპათია არის სისტემურ სკლეროზში პათოლოგიური პროცესების ძირითადი კომპონენტი და გავლენას ახდენს პაციენტების დიდ უმრავლესობაზე. მისი გამოვლენა ფრჩხილის მიდამოში ფრჩხილის კაპილაროსკოპიის საშუალებით, აადვილებს სისტემურ სკლეროზის ადრეულ დიაგნოზს და იძლევა დაავადების მიმდინარეობის მიკროსისხლძარღვთა ცვლილებების მონიტორინგის შესაძლებლობას. სისტემურ სკლეროდერმიასთან დაკავშირებული მიკროანგიოპათია განზოგადებულია და შეიძლება დაფიქსირდეს როგორც ხელის, ისე ფეხის თითებზე.

ქარიკის მიერ მოხსენებული იყო სკლეროდერმიით დაავადებული პაციენტის შემთხვევა, რომლის ერთ თითს ჰქონდა ნორმალური ნიმუში, ხოლო იმავე პაციენტის მეორე თითს ჰქონდა დამახასიათებელი „სკლეროდერმიის“ ნიმუში და ხაზი გაუსვა თითოეულ პაციენტში ყველა თითის გამოკვლევის აუცილებლობას.



სურათი 1. არასიმომეტრიული კაპილაროსკოპიული აღმოჩენები 52 წლის ქალში სისტემური სკლეროდერმია, CREST სინდრომი; რეინოს ფენომენის ხანგრძლივობა – 10 წელი, სისტემური სკლეროდერმიის ხანგრძლივობა – 5 წელი; (a) თითის „ადრეული“ ფაზის „სკლეროდერმიის“ კაპილაროსკოპიული ნიმუში (G-გიგანტური კაპილარული მარყუჟი); B) „აქტიური“ ფაზის „სკლეროდერმიის“ ტიპის თითის კაპილაროსკოპიული ნიმუში; (C) თითების „ადრეული“ ფაზის „სკლეროდერმიის“ ტიპის კაპილაროსკოპიული ნიმუში (G-გიგანტური კაპილარული მარყუჟი) და (D) ფეხის თითების არასიმეტრიული კაპილაროსკოპიული აღმოჩენები ერთი გაფართოებული მარყუჟების არსებობით (D).

გიგანტური კაპილარული მარყუჟის გამოვლენა (არტერიული ან ვენური კიდურის დიამეტრი 50 μm/0.050 მმ-ზე მეტი), თუნდაც ერთი, უნდა ჩაითვალოს საწყისი მიკროანგიოპათიის ინდიკატორად. მიუხედავად იმისა, რომ კაპილაროსკოპიული გამოკვლევის დროს შეფასების მიზანია დისტალური ფრჩხილის კაპილარული მწკრივი, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული გიგანტური კაპილარული მარყუჟის აღმოჩენა პროქსიმალური რიგებიდან. კაპილარების დიამეტრის ზრდა შეიძლება ჩაითვალოს, როგორც მიკროსისხლძარღვთა რეაქცია ქსოვილის ჰიპოქსიაზე.



ამრიგად, სკლეროდერმიასთან დაკავშირებული მიკროანგიოპათიის ძალიან ადრეული დიაგნოსტიკისთვის, ხაზგასმულია შემდეგი მოსაზრებები:

□ საწყისი კაპილაროსკოპიული ცვლილებების შემთხვევაში კაპილარების დიამეტრის მნიშვნელობები უნდა გაიზომოს რაოდენობრივად;


□ უნდა ჩატარდეს ყველა თითის კაპილაროსკოპიული ანალიზი, რადგან მიკროვასკულარული კაპილაროსკოპიული ცვლილებები არაერთგვაროვანია და ერთ გიგანტურ კაპილარსაც კი აქვს დიაგნოსტიკური მნიშვნელობა;

ფრჩხილის კაპილაროსკოპია და დაავადების ხანგრძლივობა სისტემური სკლეროდერმიის დროს

კავშირი კაპილაროსკოპიულ ცვლილებებსა და დაავადების ხანგრძლივობას შორის სისტემური სკლეროდერმიის დროს არის ცნობილი ფენომენი, რომელსაც თან ახლავს „ადრეული“, „აქტიური“ და „გვიანი“ ფაზის „სკლეროდერმიის“ ტიპის კაპილაროსკოპიული ნიმუში.



სურათი 2. „აქტიური“ ფაზის „სკლეროდერმიის“ ტიპის კაპილაროსკოპიული ნიმუში 58 წლის ქალი.რეინოს ფენომენის ხანგრძლივობა – 20 წელი, სისტემური სკლეროდერმიის ხანგრძლივობა – 20 წელი; სკლეროდაქტილია, მორეციდივე ციფრული წყლულები, ტელანგექტაზია და ანტიცენტრომერული ანტისხეულები დადებითი;



სურათი 3. „გვიანი“ ფაზის „სკლეროდერმიის“ ტიპის კაპილაროსკოპიული ნიმუში 68 წლის ქალის,

სისტემური სკლეროზის მქონე პაციენტში დიფუზური კანის ჩართულობით. როგორც რეინოს ფენომენის, ასევე სისტემური სკლეროდერმიის ხანგრძლივობაა 6 წელი; პაციენტს ასევე აღენიშნება ფილტვისმიერი ჰიპერტენზია, სიკვას სინდრომი და ართრიტი (N: ნეოანგიოგენეზი; AA: ავასკულარული უბნები);

ფრჩხილის კაპილაროსკოპია სისტემური სკლეროდერმიის დროს და მისი კავშირი კლინიკურ სურათთან და იმუნოლოგიურ პროფილთან

კუთვლო და სხვ. დაადგინეს, რომ „სკლეროდერმიის“ ტიპის კაპილაროსკოპიული ცვლილებების სამი ფაზა („ადრეული“, „აქტიური“ და „გვიანი“) შეიძლება შეინიშნოს დაავადების ორივე ქვეტიპში შეზღუდული და დიფუზური კანის ჩართულობით.

კაპილაროსკოპიული გამოკვლევები ჩატარდა სისტემური სკლეროდერმიის მქონე 241 პაციენტში. (Cutolo et al).13-მა გამოავლინა, რომ პაციენტებს, რომლებსაც აქვთ „ადრეული“ და „აქტიური“ ფაზის „სკლეროდერმიის“ ტიპის კაპილაროსკოპიული ნიმუში, აჩვენებდნენ დაავადების უფრო ხშირად კანის შეზღუდულ ფორმას, ვიდრე „გვიანი“ ფაზის კაპილაროსკოპიული ცვლილებებით.

სისტემური სკლეროზის მქონე 40 პაციენტში, მნიშვნელოვნად დაბალი კაპილარული სიმკვრივე იქნა ნაპოვნი ,რომელი დაკავშირებული იყო ფილტვის არტერიის ჰიპერტენზიასთან($n=21$), ვიდრე ფილტვის არტერიის ჰიპერტენზის გარეშე ($4.33/მმ ვს 6.56/მმ, p=0.001$), ხოლო მარყუჟის ზომები იყო თანაბარი.

აღსანიშნავია, რომ კაპილარების სიმკვრივის შემცირება, თუმცა უფრო მსუბუქი ხარისხით, ასევე აღინიშნა იდიოპათიური ფილტვის არტერიის ჰიპერტენზიის მქონე პაციენტებში ჯანმრთელ კონტროლთან შედარებით.

ფრჩხილის კაპილაროსკოპია და მკურნალობის შედეგის შეფასება სისტემური სკლეროდერმიის დროს

დაფიქსირდა კაპილაროსკოპიული ცვლილებების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება სისტემური სკლეროდერმიის მქონე პაციენტებში მკურნალობის საპასუხოდ. ილოპროსტის ინფუზიით და პერორალური ციკლოსპორინით (2,5 მგ/კგ/დღეში) კომბინირებულმა თერაპიამ აჩვენა მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა სისტემური სკლეროდერმიის კაპილაროსკოპიულ ცვლილებებზე 12 თვის შემდეგ.

უფრო მეტიც, სისტემური სკლეროზის მქონე პაციენტებზე მეთვალყურეობის შედეგად, რომლებიც მკურნალობდნენ ორალური ციკლოსპორინით (2,5 მგ/კგ/დღეში), კაპილარული დაზიანებების პროგრესირებადი გაუმჯობესება შეინიშნებოდა თერაპიის პირველ 2-წელში.

„სკლეროდერმიის“ ტიპის კაპილაროსკოპიული აღმოჩენების სწრაფი გაუმჯობესება (კაპილარული სისხლჩაქცევებით, გადიდებული კაპილარული მარყუჟებით და ავასკულარული უბნებით) დაფიქსირდა სისტემური სკლეროდერმიის კლინიკურ შემთხვევაში, ინ-



ტენსიური იმუნოსუპრესიის და ჰემატოპოეტური ღეროვანი უჯრედების გადაწერვის შემდეგ.

ჰემატოპოეტური ღეროვანი უჯრედების გადაწერვიდან ხუთი თვის შემდეგ დაფიქსირდა კაპილარების რაოდენობის, ზომისა და არქიტექტურის ნორმალიზება კაპილარული სისხლჩაქცევების გარეშე. კაპილაროსკოპიული ნიმუშის აღდგენა „აქტიური“ ფაზიდან „ადრეულ“ ფაზამდე ასევე დაფიქსირდა სისტემური სკლეროზის მქონე ექვს პაციენტში, რომლებსაც ჩაუტარდათ კაპილაროსკოპიული გამოკვლევა საბაზისო შეფასებიდან 3 წლის შემდეგ. ხუთი მათგანი მკურნალობდა ციკლოფოსფამიდით და ერთმა პაციენტმა მიიღო მეოთხრექსატი პლუს აზათიოპრინი.

სხვა კვლევა, რომელიც ჩატარდა 16 პაციენტზე, შეფასებული იყო ჰემატოპოეტური ღეროვანი უჯრედების გადაწერვისა და ციკლოფოსფამიდით მკურნალობის ეფექტი პერიფერიულ მიკროანგიოპათიაზე. ვიდეოკაპილაროსკოპიამ აჩვენა „გვიან“ ფაზის „სკლეროდერმის“ ტიპის ნიმუში სანყის ეტაპზე და შემდგომი დაკვირვება გაგრძელდა 2 წლის განმავლობაში.

ექვსი პაციენტი მკურნალობდა ჰემატოპოეტური ღეროვანი უჯრედების გადაწერვით და პულსური ციკლოფოსფამიდით (1გ) 6 თვის განმავლობაში, რასაც ასევე მოჰყვა მნიშვნელოვანი კაპილაროსკოპიული მაჩვენებლების გაუმჯობესება.

დასკვნა

სისტემური სკლეროზის კაპილაროსკოპიული ცვლილებები დიაგნოსტიკურია და გვხვდება შემთხვევების უმრავლესობაში კლინიკურად გამოხატული სკლეროდერმიით (>90%).

სკლეროდერმიაში კაპილაროსკოპიული შედეგები

არ არის ერთგვაროვანი. მიუხედავად იმისა, რომ სკლეროდერმიის ტიპის კაპილაროსკოპიული ნიმუშის სამივე ფაზა, ე.ი. „ადრეული“, „აქტიური“ და „გვიან“ შეიძლება შეინიშნოს სისტემური სკლეროზის განვითარებაში როგორც შეზღუდული, ასევე დიფუზური კანის ჩართულობით, კაპილაროსკოპიული ცვლილებების დინამიკის სიჩქარე შეიძლება განსხვავდებოდეს.

აღსანიშნავია, რომ ექსპერტის მოსაზრება კაპილაროსკოპიულ შედეგებს, კლინიკურ ჩართულობასა და დაავადების აქტივობას შორის კავშირის შესახებ არ არის ერთგვაროვანი. სავარაუდოდ, ეს იმიტომ ხდება, რომ სისტემურ სკლეროზთან დაკავშირებული მიკროანგიოპათიის ფაზური კაპილაროსკოპიული ცვლილებები თითქმის უნივერსალური მახასიათებელია სკლეროდერმიის მქონე პაციენტებში (>90%) და არ არის სპეციფიკური თანმხლები კლინიკური გამოვლინების გარკვეული ტიპისთვის.

თუმცა, მიკროსისხლძარღვთა ცვლილებების პროგრესირების სიჩქარე, როგორც ჩანს, კრიტიკულია და პერიფერიული კაპილაროსკოპიის შედეგების სწრაფი დინამიური ცვლილების შემთხვევაში, მოკლე დროში, ეს უნდა ჩაითვალოს დაავადების აქტივობის ინდიკატორად, მათ შორის კანის და/ან ვისცერული ორგანოების ჩართვა. ეს უკანასკნელი უნდა შეფასდეს და დიაგნოზი დაისვას კლინიკურ კონტექსტში.

გამოყენებული ლიტერატურა

- <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC8922564/>
- <https://www.elsevier.es/es-revista-revista-colombiana-reumatologia-english-edition-474-articulo-raynauds-phenomenon-capillaroscopy-digital-ulcers-S2444440520300558>

რეზიუმე

კაპილაროსკოპიული ცვლილებები სისტემური სკლეროზის დროს

ირ. ლლონტი, ნ.ჯოჯაძე, გ.ჩახუნაშვილი
(ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაცია)

კაპილაროსკოპია არის ფრჩხილის კაპილარების მორფოლოგიური შეფასების უნიკალური მეთოდი, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებს სისტემური სკლეროზის ადრეული დიაგნოსტიკისთვის. სისტემური სკლეროზის პათოლოგიური კაპილაროსკოპიული ცვლილებების პირველი აღწერა გაკეთდა ბრაუნისა და ო'ლირის მიერ 1925 წელს.

რამდენიმე ათწლეულის შემდეგ ისინი დადასტურდა და იქნა მიღებული, როგორც დიაგნოსტიკური კრიტერიუმი 2013 წლის EULAR/ACR კლასიფიკაციის მიმდინარე კრიტერიუმებში.

ეს სტატია აჯამებს ცოდნას სისტემური სკლეროზის დროს ფრჩხილის კაპილაროსკოპიის გამოყენების შესახებ. თავდაპირველად, Maricq et al. შესთავაზა კაპილაროსკოპიული აღმოჩენების ორი ძირითადი კატეგორია სისტემური სკლეროზის დროს – „აქტიური“ და „ნელი“ კაპილაროსკოპიული ნიმუში.

მათი აღწერა და ტერმინოლოგია ვარაუდობს კორელაციას კაპილაროსკოპიულ ცვლილებებსა და დაავადების აქტივობასა და პროგრესირებას შორის. Cutolo et al.-ის გვიანდელ კლასიფიკაციაში განისაზღვრა სამი ფაზა, ანუ „ადრეული“, „აქტიური“ და „გვიანი“, რომლებიც ასახავს კაპილაროსკოპიული ცვლილებების კავშირს დაავადების ხანგრძლივობასთან.

ფრჩხილის მიდამოში, კაპილარული მარყუჟები ორიენტირებულია კანის ზედაპირის პარალელურად, რაც საშუალებას იძლევა ვიზუალურად მოხდეს მათი მთელი სიგრძის ვიზუალიზაცია, ხოლო დანარჩენ ადგილებში ისინი კანის პერპენდიკულარულია. ფრჩხილის კაპილაროსკოპია უნიკალური მეთოდია, რომელიც განსხვავდება არაინვაზიურობით, მარტივი და სწრაფი შესრულებით და წარმოადგენს ერთადერთ ტექნიკას ფრჩხილის კაპილარების მორფოლოგიური შეფასებისთვის.

სისტემური სკლეროდერმიის დროს კაპილაროსკოპიული ცვლილებები სპეციფიკურია და შეიძლება გამოვლინდეს პაციენტების დიდ უმრავლესობაში. მათ შორისაა გვიანტური კაპილარების, სისხლჩაქცევების, ავასკულარული უბნების, ნეოანგიოგენური კაპილარების არსებობა.



SUMMARY

CAPILLAROSCOPIC CHANGES IN SYSTEMIC SCLEROSIS

IR. GHLONTI, N. JOBAVA, G. CHAKHUNASHVILI
(Children's Cardiologists Association)

Capiloscropy is a unique method of morphological assessment of nail capillaries, which plays a crucial role in the early diagnosis of systemic sclerosis. The first description of pathological capillaroscopic changes in systemic sclerosis was made by Brown and O'Leary in 1925.

Several decades later, they were confirmed and accepted as diagnostic criteria in the current 2013 EULAR/ACR classification criteria.

This article summarizes the evolving knowledge about the use of nail capillaroscopy in systemic sclerosis. Originally, Maricq et al. proposed two main categories of capillaroscopic findings in systemic sclerosis - "active" and "slow" capillaroscopy patterns.

Their description and terminology suggests a correlation between capillaroscopic changes and disease activity and progression. Cutolo et al. 's later classification defined three phases, i.e., "early," "active," and "late," that reflect the relationship of capillaroscopy changes to disease duration.

In the nail area, the capillary loops are oriented parallel to the surface of the skin, which allows visualizing their entire length, while in other areas they are perpendicular to the skin. Nail capillaroscopy is a unique method that is non-invasive, simple and quick to perform and is the only technique for morphological assessment of nail capillaries. Its main role in rheumatology is to facilitate the differential diagnosis of Raynaud's phenomenon.

Capillaroscopic changes in systemic scleroderma are specific and can be detected in the vast majority of patients. Among them are the presence of giant capillaries, hemorrhages, avascular areas, neo angiogenesis capillaries.

მიტრალური სარქველის პროლაფსის ბავშვებისა და მართვის თავისებურებების ბავშვთა ასაკში

ირ. ლლონტი, გჩახუნაშვილი
(საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაცია).

ცოტა ხნის წინ, გაიზარდა ინტერესი მიტრალური სარქველის პროლაფსის (MVP) შესახებ, როგორც უგულებელყოფილი გულის ანომალია, რომელიც პოტენციურად ასოცირდება მნიშვნელოვან გულ-სისხლძარღვთა სისტემის დარღვევებთან, მათ შორის უეცარი გულის სიკვდილთან, ახალგაზრდა და ზრდასრულ ადამიანებში.

მიტრალური სარქველი გულს ერთ-ერთი სარქველია, რომელიც შედგება ორი აფრისგან აფრები ერთი მიმართულებით ატარებენ სისხლს და მათ კომპეტენტურ მუშაობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. აფრები თხელია და თუ ისინი დაზიანდა შესაძლოა განვითარდეს სარქველის ნაკლოვანება.

თუ აფრებზე ინფექციური პროცესი განვითარდა და ჩამოყალიბდა რაიმე ინფექციური კერა, ამ შემთხვევაში შესაძლებელია მივიღოთ საქვლის სტენოზი.

მიტრალური სარქველის პროლაფსს უწოდებენ სისტოლის დროს მიტრალური სარქველის ერთი ან ორივე საგდულის პათოლოგიურ ჩაზნექას მარცხენა წინაგულის ღრუში მიტრალური რგოლის დონის ზემოთ. ამ დროს ზოგჯერ ირღვევა საგდულების სისტოლური ჩაკეტვის მექანიზმი და ვითარდება მიტრალური რეგურგიტაცია.

მიტრალური სარქველის პროლაფსი მოსახლეობის დაახლოებით 2%-5%-ს აქვს. ხშირი მიზეზია მიქსომატოზური დეგენერაცია – მემკვიდრული შემაერთებელ-ქსოვილოვანი დაავადება, რომელიც სარქველის

ქსოვილის დასუსტებას იწვევს. მიტრალური პროლაფსი შესაძლოა გულის სერიოზული პრობლემის წინა პირობად იქცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეგურგიტაცია მკვეთრია ან სარქველის ინფექცია განვითარდა, ან მიქსომატოზური ქსოვილის მთლიანობა დაირღვა.

ამერიკის კარდიოლოგთა ასოციაციის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით გამოკვლეულ იქნა 7449 სპორტსმენი, რომელთაგან მიტრალური სარქველის პროლაფსი აღენიშნებოდა 215 ახალგაზრდას.

10 სპორტმენს დაუდასტურდა საშუალო ან მძიმე ხარისხის რეგურგიტაცია

62-ს (29%) ჰქონდა პარკუჭოვანი ტაქიკარდია.

(წყარო:) <https://www.ahajournals.org/doi/10.1161/CIRCULATIONAHA.117.033395#F>

ეტიოლოგია – გამოყოფენ მიტრალური სარქველის პირველად (იდიოპათიურ) და მეორად პროლაფსს:

პირველადი პროლაფსი	მეორადი პროლაფსი
მემკვიდრეობითი პათოლოგიაა, რომელიც გადაეცემა აუტოსომურ-დომინანტური გზით, იგი ხშირია ერთი ოჯახის წევრებში. პირველად პროლაფსს მიეკუთვნება ასევე პროლაფსი მემკვიდრეობითი დაავადებების დროს (მარფანის სინდრომი, არასრული ოს-	ანუ მიტრალური საგდულის ჩაზნექა, მარცხენა წინაგულის ღრუში, გულის სხვა დაავადებების ერთ-ერთი კომპონენტია და არ აქვს დამოუკიდებელი კლინიკური მნიშვნელობა.

ათოგანეზი:

* მიტრალური სარქველის პირვლადი პროლაფსის დროს დაავადების შედარებით მძიმე ფორმის განვითარებას საფუძვლად უდევს მიქსომური დეგენერაციის პროცესი.

* მაკროსკოპული გამოკვლევისას მიტრალური საგდულები გადიდება, ფაშარია, მათი კიდეები ჩახვეულია და ჩაზნექილია წინაგულის ღრუში

* ქორდები შეიძლება იყოს გაჭიმული და წაგრძელებული, რაც ხელს უწყობს მათ განყვეტას. ესაა მიტრალური სარქველის ანატომიური პროლაფსი

* მიტრალური რეგურგიტაცია იწვევს გულის მარცხენა ნაწილის დილატაციას

* ფუნქციური პროლაფსი ხასიათდება მიტრალური საგდულების და მიტრალური რეგურგიტაციის უხეში ანატომიური ცვლილებებით

კლინიკური სურათი:

* ავადმყოფი შესაძლოა უჩიოდეს ქოშინს ფიზიკური დატვირთვის დროს, გულისცემის შეგრძნებას, საერთო სისუსტეს, რაც გულის უკმარისობით არის გამოწვეული

* **კარდიალგია** – მწინკნავი, მჩხვლეტავი და მოჭყერიითი ხასიათის ტკივილი გულმკერდის არეში, რაც არ უკავშირდება დატვირთვის და განპირობებულია ვეგეტაციური დისფუნქციის სინდრომით

* დათვალეირებისას ხშირად ვლინდება შემაერთებული ქსოვილის მემკვიდრეობითი დისპლაზიის ნიშნები, რომელთაც ხშირად არ აქვთ დამოუკიდებელი კლინიკური მნიშვნელობა და ასრულებენ გენეტიკური პათოლოგიების სტიმუმების როლს

* აღენიშნება ასთენიური აღნაგობა, თითების და ხელების წაგრძელება, სინდაქტილია, სქოლიოზი და კიფოსქოლიოზი

აღინიშნება გულის გადიდება ზემოთ და მარცხნივ, რასაც ყველაზე უკეთ რენტგენოსკოპია ავლენს.


მიტრალური ნაკლოვანების მნიშვნელოვანი სიმპტომია სისტოლური შუილი გულის მწვერვალზე. I ტონი შესუსტებულია, II ტონი ფილტვის არტერიაზე – გაძლიერებული. სისხლის მიმოქცევის მცირე წრეში შეგუბებითი მოვლენების განვითარებისას მოგვიანებით დიდდება მარჯვენა პარკუჭი, შემდგომ კი ყალიბდება მისი უკმარისობა დიდ წრეში სისხლის შეგუბებით.

ეკგ-მიტრალური სარქველის მქონე პაციენტებს ხშირად ეკგ ცვლილებები არ აღენიშნებათ. ზოგიერთ შემთხვევაში ვლინდება ST სეგმენტის დეპრესია და უარყოფითი T კბილები III სტანდარტულ, aVF და გულმკერდის განხრებში.



* ეკგ ცვლილებები მიტრალური სარქველის პროლაფსის დროს: T კბილის ინვერსია და ST სეგმენტის ელევაცია ქვედა განხრებში: <https://thoracickey.com/mitral-valve-prolapse-associated-with-electrocardiogram-abnormalities-mimicking-acute-coronary-syndrome/>

* **დოპლეროგრაფია** და დოპლერის ფერადი კარტირება გვეხმარება, როგორც მიტრალური რეგურგიტაციის გამოვლენის, ისე, მისი ხარისხის დადგენაში.



* გამოსატული რეგურგიტაცია.

ბართულეაზი:

* პროგრესირებადი მიტრალური სარქველის უკმარისობა გულის საკნების გადიდებით

* გულის უკმარისობა

* პროცესში მყესების ქორდების მიქსომური დეგენერაციის ჩართვისას შეიძლება მოხდეს მათი გაჭიმვა და განყვეტა

* ინფექციური ენდოკარდიტი

* იშვიათად პარკუჭზე და პარკუჭოვანი ექსტრასისტოლები

მკურნალობა:

* მსუბუქი ხარისხის პროლაფსის დროს, როდესაც ექოკგ-ზე არ აღინიშნება მიქსომური დეგენერაციის და მიტრალური რეგურგიტაციის ნიშნები, პაციენტები არ საჭიროებენ მკურნალობა.

* პროლაფსის მნიშვნელოვანი სიღრმის შემთხვევაში (მეტია 10 მმ-ზე) აუცილებელია ინფექციური ენდოკარდიტის პროფილაქტიკა ანტიბიოტიკებით

* ჰემოდინამიკურად მნიშვნელოვანი მიტრალური რეგურგიტაციის განვითარება მოითხოვს ოპერაციულ მკურნალობას

* პროთეზირების გარდა ქირურგიული მკურნალობა გულისხმობს, სხვადასხვა სახის პლასტიკურ ოპერაციებს სარქველის შენარჩუნებით

გამოყენებული ლიტერატურა:

- <https://www.ahajournals.org/doi/10.1161/CIRCULATIONAHA.117.033395#F1>
- <https://www.ncbi.nlm.nih.gov/books/NBK470288/>
- <https://www.ahajournals.org/doi/pdf/10.1161/CIRCULATIONAHA.113.006702>
- [https://www.amjmedsci.com/article/S0002-9629\(15\)34645-0/pdf](https://www.amjmedsci.com/article/S0002-9629(15)34645-0/pdf)
- <https://sals3.patientpop.com/assets/docs/12796.pdf>





რეზიუმე

მიტრალური სარქვლის პროლაფსის გავრცელებისა და მართვის თავისებურებების ბავშვთა ასაკში

ირ. ლლონტი, გჩახუნაშვილი (საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაცია).

მიტრალური სარქვლის პროლაფსს უწოდებენ სისტოლის დროს მიტრალური სარქვლის ერთი ან ორივე საგდულის პათოლოგიურ ჩაზნექას მარცხენა წინაგულის ღრუში მიტრალური რგოლის დონიზ ზემოთ. ამ დროს ზოგჯერ ირღვევა საგდულების სისტოლური ჩაკეტვის მექანიზმი და ვითარდება მიტრალური რეგურგიტაცია. მიტრალური სარქვლის პროლაფსი მოსახლეობის დაახლოებით 2%-5%-ს აქვს. ხშირი მიზეზია მიქსომატოზური დეგენერაცია – მემკვიდრული შემადგენელი-ქსოვილოვანი დაავადება, რომელიც სარქვლის ქსოვილის დასუსტებას იწვევს. მიტრალური პროლაფსი შესაძლოა გულის სერიოზული პრობლემის წინა პირობად იქცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეგურგიტაცია მკვეთრია ან სარქვლის ინფექცია განვითარდა, ან მიქსომატოზური ქსოვილის მთლიანობა დაირღვა. ავადმყოფი შესაძლოა უჩიოდეს ქოშინის ფიზიკური დატვირთვის დროს, გულისცემის შეგრძნებას, საერთო სისუსტეს, რაც გულის უკმარისობით არის გამოწვეული. აღინიშნება გულის გადიდება ზემოთ და მარცხნივ, რასაც ყველაზე უკეთ რენტგენოსკოპია ავლენს. მიტრალური ნაკლოვანების მნიშვნელოვანი სიმპტომია სისტოლური მუილი გულის მწვერვალზე. I ტონი შესუსტებულია, II ტონი ფილტვის არტერიაზე – გაძლიერებული. სისხლის მიმოქცევის მცირე წრეში შეგუბებითი მოვლენების განვითარებისას მოგვიანებით დიდდება მარჯვენა პარკუჭი, შემდგომ კი ყალიბდება მისი უკმარისობა დიდ წრეში სისხლის შეგუბებით. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მიტრალური სარქვლის პროლაფსი საკმაოდ გავრცელებული პათოლოგიაა. შესაბამისად, აღნიშნულ ნაშრომში წარმოდგენილი იქნება დეტალური ინფორმაცია მიტრალური სარქვლის პროლაფსის გავრცელებისა და მართვის თავისებურებების შესახებ ბავშვთა ასაკში.

SUMMARY

MITRAL VALVE PROLAPSE SPREAD AND MANAGEMENT FEATURES IN CHILDREN

IR. GLONTI, G. CHAKHUNASHVILI (Georgian Child Cardiologists Association)

Mitral valve prolapse is the pathological depression of one or both leaflets of the mitral valve during systole in the cavity of the left atrium above the level of the mitral ring. At this time, the mechanism of systolic closure of the leaflets is sometimes violated and mitral regurgitation develops. About 2%-5% of the population has mitral valve prolapse. A common cause is myxomatous degeneration – an inherited connective tissue disease that causes the valve tissue to weaken. Mitral prolapse may be a precursor to a serious heart problem only if regurgitation is severe or valve infection has developed, or the integrity of the myxomatous tissue has been compromised. The patient may complain of shortness of breath during physical exertion, palpitations, general weakness, which is caused by heart failure. There is an enlargement of the heart above and to the left, which is best demonstrated by X-ray. An important symptom of mitral insufficiency is a systolic murmur at the apex of the heart. Tone I is weakened, tone II on the pulmonary artery is enhanced. The results of the study showed that mitral valve prolapse is a fairly common pathology. Accordingly, the mentioned paper will present detailed information about the prevalence and management features of mitral valve prolapse in children.

ბავშვთა ნეფროლოგიის აქტუალური საკითხები Current issues of pediatric nephrology

ენურეზის მართვის თანამედროვე პრინციპები ბავშვთა ასაკში

ნინო გელღიაშვილი, ეკატერინე გაფრინდაშვილი, ქეთევან ძვამთაძე, გურამ ჩიტაია, მადია ცანაპა, თამარ აბულაძე, დავით კვიციანი, ნინო კვიციანი (საქართველო თბილისი)

მონოსიმპტომური ენურეზი არის შარდის შეუკავებლობა ღამით, როდესაც მას არ ახლავს ქვედა საშარდე სისტემის სხვა სიმპტომი მაგ: გახშირებული და მტკივნეული შარდვა, დღის შეუკავებლობა, მოშარდვის იმპერატიული სურვილი და შარდის ბუშტის დისფუნქციის სხვა სიმპტომები. ენურეზი ბავშვებში, 7 წლის ასაკის 5-10%-ში და მოზარდების მხოლოდ 1-2%-ში ვლინდება. სპონტანუ-



რი, ყოველწლიური 15 % იანის გაუმჯობესების გამო აღნიშნული მდგომარეობა შედარებით კეთილსამედოდ ითვლება. ყოველი 7 წლის ასაკის 100 ბავშვიდან 7 მათგანს მოზრდილობის ასაკშიც უგრძელდება აღნიშნული ჩივილი. პირველად ენურეზად ითვლება მდგომარეობა, რომელსაც წინ არ უძღვოდა მინიმუმ 6 თვიანი მშრალი პერიოდი, ხოლო მეორადია ენურეზი, როდესაც ჩივილს წინ უძღვის მშრალი პერიოდი.

პაციენტის შეფასება

ენურეზის მქონე პაციენტის თავდაპირველ შეფასებას როგორც წესი ოჯახის ექიმი, პედიატრი, პედიატროლოგი, პედიატრ-ნეფროლოგი ახდენს. ზოგადი შეფასების შემდეგ ექიმს უნდა შეეძლოს: 1) ამოიცნოს ენურეზის გამომწვევი ძირითადი მიზეზი, 2) საჭიროებისამებრ სწორი კონტიგენტი გადაამისამართოს შემდგომ კვლევებზე, 3) მოახდინოს ბავშვის თანმხლები დაავადებების იდენტიფიცირება, 4) დაინყოს პირველი რიგის მკურნალობა 1 და 3 პუნქტის გამორიცხვის შემდეგ.

ისტორია

სწორად შეგროვებული ანამნეზი შეფასების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. გამოკითხვისას უმეტესი ყურადღება მომარდვის ჩვევებზე უნდა იყოს გამახვილებული. პაციენტს უნდა ჩავეკითხოთ ხომ არ აქვს მომარდვის ძლიერი და იმპერატიული მოთხოვნისებობა, შარდის შეკავება მანევრების გამოყენებით (დგას თითის წვერებზე, ქუსლებით აწვება პერინეუმს და ა.შ.), წყვეტს თუ არა მომარდვის აქტს, ხომ არ აქვს შარდის სუსტი ნაკადი ან ხომ არ უჭირს მომარდვის აქტის დაწყება.

საჭიროა დაზუსტდეს თუ აქვს ან ჰქონია დღის შეუკავებლობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში საჭიროა დეტალური აღიწერა. რამდენად ხშირად ვლინდება და რა სიტუაციებში?

ასევე უნდა ვიცოდეთ ნორმალურ შემთხვევაში რამდენჯერ შარდავს ბავშვი დღის განმავლობაში, ამ დროს კი მომარდვის დღიური ოჯახის მიერ გადმოცემულ ინფორმაციასთან შედარებით ბევრად ობიექტურია. უნდა დაზუსტდეს ჰქონია თუ არა პაციენტს საშარდე გზების ინფექცია.

თუ პაციენტს მომარდვასთან დაკავშირებული პრობლემები დღისითაც აღნიშნება, მაშინ არამონოსიმპტომური ღამის ენურეზი მეტად სავარაუდოა. საჭიროა გავმიჯნოთ პაციენტები, რომლებსაც აქვს მომარდვის იმპერატიული სურვილი, შემცირებული/მომატებული შარდის სიხშირე ან საშუალო ხარისხის დღის შეუკავებლობა იმათგან, ვისაც აქვთ მომარდვის სუსტი ნაკადი, უჭირთ მომარდვის დაწყება ან აქვთ მუდმივი შეუკავებლობა. ასეთი ბავშვები სპეციალიზებულ ცენტრებში დაუყოვნებლად უნდა გადაამისამართდნენ.

ბავშვებზე, რომლებიც ღამით ისევლებენ, უნდა ვიცოდეთ ისეთი დეტალები როგორიცაა: რამდენად ხშირად აქვთ პრობლემა, ყოველ ღამით თუ ერთეულად? ყოველთვის ასველებდა საწოლს? გამოყოფს თუ არა ღამით ბევრ შარდს?

თუმცა ნიქტურია გვანიშნებს რომ ბავშვს ღამით გამოვლინება ძალიან არ უჭირს. სომატური და ფსიქოლოგიური თანმხლები მდგომარეობები უფრო ხშირია იმ ბავშვებთან, რომლებსაც წინათ ჩასველების პრობლემა არ ჰქონდათ, ღამით ხანგრძლივად იყვნენ მშრალი. ვიდრე პირველადი მონოსიმპტომური ენურეზის მქონე ბავშვებში. რადგან შარდის ბუშტის და ნაწლავ-

თა ფუნქცია ახლო კავშირშია ერთმანეთთან, ანამნეზის გამოკითხვისას უნდა გავამახვილოთ ყურადღება ტუალეტის ჩვევებზე. ყაბზობის არსებობისას მისი მკურნალობის გარეშე ძირითადი პრობლემის მოგვარება გართულდება. თუ ბავშვს ყოველ მეორე ან მეტ დღეს აქვს ნაწლავთა მოქმედება და განავალი უმეტესად მყარია, ყაბზობა მეტად სავარაუდო ხდება. განავლის შეუკავებლობა ყაბზობის მქონე პაციენტებში ხშირია და საჭიროა ამაზეც მოვიძიოთ ინფორმაცია. კითხვები უნდა დაესვას ბავშვს და არა მშობელს.

რეკომენდებულია ზოგადი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და განვითარების შეფასება. უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში ხომ არ არის ბავშვი მეტად დაღლილი ან ხომ არ დაიკლო წონაში? ამ კითხვების მიზანია გამოვავლინოთ ბავშვი თირკმლის პათოლოგიით ან დიაბეტით. პედიატრიული ისტორია მოიცავს პრენატალურ და პერინატალურ ინფორმაციასაც.

ასევე ორი მიზეზის გამო უნდა დაზუსტდეს დაახლოებით რა რაოდენობის სითხეს იღებს პაციენტი. ბავშვებს დიაბეტის გამო არსებული პოლიურიით ან აშკარა თირკმლის დაავადებით აღარ სჭირდება გაფართოებული კვლევა და დესმოპრესინით თერაპია სახიფათო შეიძლება აღმოჩნდეს. მიღებული სითხის გამოთვლა ყველაზე კარგად მომარდვის დღიურით შეიძლება.

საჭიროა ვიცოდეთ ენურეზთან საბრძოლველი რომელი სტრატეგია გამოიყენა ოჯახმა. აღვიძებენ თუ არა ბავშვს ღამით რეგულარულად ან შეუმცირეს თუ არა ძილის წინ მიღებული სითხის რაოდენობა. წარმატებული იყო თუ არა ფარმაკოლოგიური მკურნალობა ან მალგიდარას (ელ. ტრუსი) გამოყენება?

იმისთვის რომ გამოვრიცხოთ ფსიქიატრიული პრობლემა, რამდენიმე კითხვა ბავშვის ქცევაზეც უნდა დავსვათ. შესაძლო ალტერნატივად მშობლებს შევთავაზოთ სკრინინგული ტესტის შევსება. საჭიროა გავიგოთ ბავშვი პრობლემას ადექვატურად აღიქვას თუ არა. ბავშვს ყურადღების დეფიციტითა და ჰიპერაქტიურობით საჭიროა ენურეზის მკურნალობის გარდა ჩაუტარდეს შესაბამისი დახმარება, რადგან თუ ის არ თვლის ჩასველებას პრობლემად მკურნალობა შესაძლოა უეფექტო აღმოჩნდეს. თუ ბავშვს აქვს მეორადი ენურეზი საჭიროა გავიგოთ ხომ არ დაემთხვა ოჯახში ახალი წევრის მოსვლის (ბავშვის და ძმა), ან სხვა ოჯახში არსებულ პრობლემას.

ხმაურიანი სუნთქვის და/ან ძილის აპნოეს ქონა/ არ ქონა ჩასველების მქონე პაციენტში შესაძლოა მნიშვნელოვანი ინფორმაცია იყოს რადგან ზოგიერთ პაციენტს სასუნთქი გზების ობსტრუქციის დარეგულირების შემდეგ ჩასველების ეპიზოდები უქრებათ.

თავდაპირველ შეფასებას გარკვეული დრო სჭირდება. ამიტომ საჭიროა ვიზიტების ეფექტური წარმართვა და პაციენტის განმეორებით დაბარება.

ფიზიკალური გასინჯვა და სხვა გამოკვლევები

მონოსიმპტომური ენურეზის მქონე პაციენტებთან ფიზიკალური გასინჯვით პათოლოგიური ცვლილებები ნაკლებად ვლინდება. მეორეს მხრივ, საგანგაშო სიმპტომები, როგორიცაა სუსტი ნაკადი ან მუდმივი შეუკავებლობა, აუცილებლად მოითხოვს საფუძვლიან სომატურ გამოკვლევას. რექტალური/გენიტალური გამოკვლევის საჭიროების შესახებ მოსაზრებები განსხვავებულია. ყაბზობის დიაგნოზის დასადასტურებლად რე-



კომენდებულია ულტრასონოგრაფიული კვლევა – სწორი ნაწლავში არსებული განავლოვანი „ქვების“ იდენტიფიცირება და ნაწლავის დიამეტრის გამოზომვა.

ზურგისა და გარეთა სასქესო ორგანოების გამოკვლევა სავალდებულოა ყველა ბავშვისთვის, რომლებსაც ანამნეზში საშარდე გზების ინფექცია ან არამონოსიმპტომური ენურეზი აქვთ.

ერთადერთი სავალდებულო ლაბორატორიული ტესტი მონოსიმპტომური ენურეზის მქონე ბავშვებში შარდის ჩხირ ტესტია. გლუკოზურია ავტომატურად გამორიცხავს უშაქრო დიაბეტის არსებობას, ხოლო პროტეინურია განმეორებით კვლევებში მიაწინებს თირკმლის პათოლოგიის არსებობაზე.

ენურეზის დროს სისხლის საერთო ანალიზის ჩატარება აუცილებლობას არ წარმოადგენს. ასევე არ არის გამართლებული რუტინულად თირკმელებისა და ზედა სასუნთქი ტრაქტის ექოსკოპიის ჩატარება. თუმცა თუ ცენტრ/კლინიკას შარდის ბუშტის კედლის სისქის გაზომვის გამოცდილება/შესაძლებლობა აქვს ეს სასარგებლო დიაგნოსტიკური პარამეტრი შესაძლოა იყოს.

სისხირე-მოცულობის დიაგრამის ან მოშარდვის დღიურის შევსება რეკომენდებულია რამდენიმე მიზეზის გამო:

- 1) ის იძლევა ობიექტურ მონაცემს, რომელიც ობიექტურად შეაფასებს პაციენტის ისტორიას
- 2) ავლენს არამონოსიმპტომური ენურეზის მქონე პაციენტს
- 3) ვიღებთ ინფორმაციას დაავადების პროგნოზზე
- 4) ავლენს პაციენტთა კატეგორიას, რომელსაც მეტი კვლევა სჭირდება
- 5) გამოავლენს პოლიურიას
- 6) გამოავლენს ოჯახებს, რომლებიც ნაკლებად იცავენ ჯანდაცვის პროვაიდერების მითითებებს.

კარგ შემთხვევაში მიღებული და გამოყოფილი სითხე უნდა გაიზომოს ორი დღის განმავლობაში ხოლო ენურეზი, დღის შუკავებლობა თუ სხვა შარდის ბუშტთან თუ ნაწლავთან ასოცირებული სიმპტომები უნდა აღინეროს მინიმუმ 1 კვირის განმავლობაში.

ბევრ ცენტრში ღამით გამოყოფილი შარდი ფასდება საფენების აწონვით, რადგან ღამის პოლიურია მიუთითებს იმაზე, რომ დესმოპრესინით მკურნალობა სავარაუდოდ წარმატებული იქნება.

მაურნალობა

5 წლამდე ენურეზი ჩვეული მოვლენაა და ამიტომ აქტიურ ჩარევა ამ ასაკში არ არის რეკომენდებული.

ამჟამად მიღებულია ენურეზის მკურნალობის სამი მეთოდი: ბავშვის მოტივაციის ამაღლება, სპეციალური სასიგნალო სისტემის გამოყენება და თერაპია ფარმაკოლოგიური საშუალებებით.

ზოგადი ცხოვრების სტილის რჩევა

* ოჯახი უნდა იყოს ინფორმირებული შარდის ბუშტის ნორმალური ფუნქციონირების და ენურეზის პათოგენეზის შესახებ.

* მოტივაციური თერაპია (რომელიც გულისხმობს ემოციურ მხარდაჭერას, დანაშაულის გრძობის უგულებელყოფას და ბავშვის ნახალისებას) აუმჯობესებს მკურნალობის ხარისხს.

* სასურველია ოჯახის წევრებმა აწარმოონ კალენდარი მასზე აღნიშნული სველი და მშრალი ღამეებით. ეს მოცემით საშუალებას შეაფასოთ თერაპიული ჩა-

რევის შედეგები, და ასევე, კალენდარის წამოებასაც აქვს მოტივაციის ამაღლების ეფექტი

* „სახლის ტრენინგი“ – ბავშვის მიერ სველი ზენრის გამოცვლა, საცვლების რეცხვა, ლოგინის დალაგება.

* ბავშვებს უნდა ავუხსნათ, რომ დღის განმავლობაში რეგულარულად დაცალონ შარდის ბუშტი.

* ღამის პოლიურიის მკურნალობისთვის მინიმუმამდე იქნას შემცირებული სითხის მიღება 18:00-19:00 სთ-ის შემდეგ.

* ყაზობის შემთხვევაში აუცილებელია თერაპია ნაწლავთა მოქმედებისთვის.

უნდა შეირჩეს საკვები უჯრედის დიდი შემცველობით, მედიკამენტებიდან უნდა იქნეს გამოყენებული პოლიეთილენ გლიკოლი, რაც ეხმარება ბავშვებს ნაწლავთა ნორმალური მოქმედების აღდგენაში.

თერაპია სასიგნალო სისტემით

სასიგნალო სისტემის პრინციპი ეფუძნება სენსორის გააქტიურებას შარდის პირველივე წვეთზე, რის შედეგადაც ირთება სასიგნალო სისტემა, პაციენტი იღვიძებს, მიდის ტუალეტში, ცლის შარდის ბუშტს, ხელახლა ააქტიურებს მალვიძარას სისტემას და აგრძელებს ძილს.

* სასიგნალო სისტემის თერაპია შედეგიანია ბავშვის დაახლოებით 2/3-ში.

* ვარაუდობენ, რომ ენურეზის განკურნებისთვის უნდა მოხდეს შარდის ბუშტის რეზერვუარის ფუნქციის გაზრდა.

* აღნიშნული თერაპიას უნდა იყოს გათვალისწინებული ყველა ბავშვში, ენურეზით, განსაკუთრებით კი იმ ბავშვებში, ვისაც კარგად მოტივირებული მშობლები ყავთ.

* ზომიერად შეფერხებული გონებრივი განვითარება სასიგნალო სისტემით თერაპიის უკუჩვენებას არ წარმოადგენს.

* მშობლებს უნდა ავუხსნათ, რომ მათ ამ თერაპიაში განსაკუთრებული როლი ენიჭებათ და წარმატების მისაღწევად მათი დახმარება მნიშვნელოვანია.

მშობელი უნდა დაესწროს ამ პროცესს რათა დარწმუნდეს, რომ ბავშვი მალვიძარას ხმაზე ზუსტად ასრულებს რეკომენდაციებს, ვინაიდან რეგულარულობა ამ თერაპიის დროს გადამწყვეტია და მალვიძარა უნდა იქნას გამოყენებული ყოველ ღამით.

თერაპია მოითხოვს 2-3 თვემდე საცდელ პერიოდს. თუ ამ პერიოდის შემდეგ დადებითი დინამიკა არ ჩანს, მკურნალობის ეს მეთოდი უნდა შეწყდეს. სხვა შემთხვევაში, უნდა გაგრძელდეს იქამდე, სანამ ზედიზედ 14 მშრალ ღამეს არ მივიღებთ.

გამწვავება წარმატებული თერაპიის შემდეგაც შეიძლება მოხდეს, თუმცა თერაპიის ხელახალ კურსი თითქმის ყოველთვის ეფექტურია.

როდესაც ბავშვი წარმატებულ შედეგს მიიღებს, ევალება, რომ დალიოს მცირე რაოდენობით წყალი დამინებამდე 1 საათით ადრე. ამის შემდეგ, თუ ბავშვი რჩება მშრალ 1 თვე, შეგვიძლია მალვიძარას თერაპია მოვხსნათ.

დესმოპრესინი

კვლევებმა აჩვენა, რომ ენურეზის მქონე ბავშვების 30% სრულად, ხოლო 40% ნაწილობრივ რეაგირებს დესმოპრესინზე.

მედიკამენტი ხელმისაწვდომია ორალური ტაბლეტების და ნაზალური წვეთების სახით.



ენურეზის შემთხვევაში დესმოპრესინის დადებით ეფექტს, მისი ანტიდიურეზული აქტივობა განაპირობებს.

დესმოპრესინი ყველაზე ეფექტურია ღამის პოლიურის (როდესაც ღამით ხდება 130%-ით მეტი შარდის გამომუშავება, ვიდრე ასაკის მიხედვით შეუძლია შარდის ბუშტის დაიტოვოს) მქონე ბავშვებში, რომლებსაც შარდის ბუშტის რეზერვაციის ნორმალური ფუნქცია აქვთ. დესმოპრესინით მკურნალობას ატარებენ იმ ბავშვებშიც რომელთაც მალვიძარას თერაპია არაეფექტურია.

ცნობილია რომ დესმოპრესინი უსაფრთხო მედიკამენტია, მცირე რაოდენობის გვერდითი ეფექტებით, რომლის გამოყენებაც შეიძლება რამდენიმე წლის განმავლობაშიც კი.

საყურადღებოა, რომ დესმოპრესინით თერაპიის დროს წყლის ჭარბი რაოდენობით მიღებამ (>70-100მლ/კგ 24 ს.ში) შეიძლება გამოიწვიოს წყლით ინტოქსიკაცია ჰიპონატრემიით და კონვულსიით. ბოლო კვლევებმა აჩვენეს, რომ ეს რისკი განსაკუთრებით მაღლია იმ პაციენტებში, რომლებიც იყენებენ მედიკამენტს ცხვირის წვეთების სახით.

აღნიშნულის გამო, სასურველია დესმოპრესინის პერორალური მიღება.

პოლიდიფსია მკურნალობის უკუჩვენებას წარმოადგენს.

სასურველია, საღმოს საათებში (18:00 საათის შემდეგ) შეიზღუდოს სითხის მიღება 200მლ-მდე.

დესმოპრესინის ტაბლეტი უნდა იქნას მიღებული დაძინებამდე მინიმუმ 1 საათით ადრე.

დესმოპრესინი ინიშნება 0,2-0,4 მგ-მდე დოზით, და არა არის დამოკიდებული პაციენტის ასაკზე ან წონაზე. რეკომენდებულია მკურნალობის დაწყება მაქსიმალური დოზით და დადებითი ეფექტის შემთხვევაში მოხდეს კლება დოზაზე გადასვლა.

დადებითი ეფექტის შემთხვევაში რეკომენდებულია მედიკამენტის ყოველდღიური მიღება და აუცილებელია თერაპიის კურსებს შორის შესვენების გაკეთება.

ანტიქოლინერგული

ანტიქოლინერგული პრეპარატები ბავშვთ ასაკში დადასტურებული ეფექტურობით და მინიმალური გვერდითი ეფექტებით არის ოქსიბუტინინი და ტოლტეროდინი.

არცერთი მათგანი არ ითვლება პირველი რიგის თერაპიად ენურეზის დროს, მაგრამ ისინი ამცირებენ დეტრუზორის არასტაბილურობას.

ანტიქოლინერგული თერაპიის დაწყებამდე უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი ასპექტები:

1. გამოირიცხოს ან აღმოიფხვრად შკრულობა;
2. გამოირიცხოს ნარჩენი შარდი, დისფუნქციური შარდვა ან მოშარდვის დაბალი სიხშირე.

ანტიქოლინერგული თერაპია უნდა დავიწყოთ იმ ბავშვებში, ვისთანაც პირველი რიგის მკურნალობამ შედეგი არ მოგვცა.

ჩვენი გამოცდილებით, ამ მედიკამენტის მკურნალობა ეფექტურია პაციენტთა 40%-ში და ხშირად საჭიროებს დესმოპრესინის სტანდარტულ დოზასთან ერთად მკურნალობას.

სტანდარტული დოზა – ტოლტეროდინი 2მგ ან ოქსიბუტინინი 5მგ საღამოს ძილის წინ (საჭიროების მიხედვით შეიძლება დოზების გაორმაგება).

ანტიენურეზული ეფექტი მიიღწევა მკურნალობის დაწყებიდან 2 თვეში ან უფრო ადრე.

ყველაზე შემანუხებელი გვერდითი ეფექტი არის შეკრულობა, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს ნელ-ნელა, ხოლო ამით განპირობებული ყველაზე დიდი საფრთხე არის ნარჩენი შარდი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს საშარდე გზების ინფექცია. ამრიგად, ბავშვმა უნდა შეინარჩუნოს აბაზანის ჯანსაღი წესები და ოჯახმა უნდა მიაქციოს ყურადღება თუ ბავშვს დაენწყება დიზურია ან აუხსნელი ცხელება.

ასევე, ამ ჯგუფის მედიკამენტებმა, შეიძლება ხასიათის ცვლილებაც გამოიწვიოს, თუმცა ეს გვერდითი ეფექტი ძირითადად ოქსიბუტინინის დროს გვხვდება.

გარდა ამისა, რადგან ანტიქოლინერგული პრეპარატები ამცირებენ ნერწყვის გამოყოფას, ბავშვს უნდა დაევალოს პირის ღრუს ჰიგიენის დაცვა.

დადებითი ეფექტის შემთხვევაში, რეკომენდებულია ხანგრძლივი მკურნალობის პერიოდში 3 თვეში ერთხელ შესვენება.

ტრიაციკლური ანტიდეპრესანტი

ტრიაციკლური ანტიდეპრესანტი იმიპრამინი ადრე ხშირად გამოიყენებოდა ენურეზის დროს.

ენურეზის მქონე ბავშვების დაახლოებით 50% პასუხობს ამ პრეპარატს.

ეს მედიკამენტი მიჩნეულია მესამე რიგის თერაპიად, მისი გვერდითი ეფექტების გამო.

ასევე, იმიპრამინი შეიძლება გამოვიყენოთ იმ ბავშვებთან, რომლებსაც მალვიძარას თერაპიაზე არ ჰქონდათ დადებითი ეფექტი და, ამასთანავე, მათთვის დესმოპრესინი მიუწვდომელია.

ანტიენურეზული დოზაა 25-50მგ საღმოს, ძილის წინ, უფრო მაღალი დოზა ეძლევათ 9წელზე ზემოთ ბავშვებს. მედიკამენტის ეფექტურობა ფასდება მკურნალობის დაწყებიდან 1 თვის შემდეგ.

ასევე შეიძლება გამოვიყენოთ, როდესაც დესმოპრესინის სტანდარტული დოზით მკურნალობაზე გვაქვს ნაწილობრივი პასუხი, და დარწმუნდით რომ ბავშვს საღამოს საათებში სითხის მიღება შეზღუდული აქვს.

თუ მკურნალობა წარმატებულია, რეკომენდირებულია მედიკამენტის დოზის ეტაპობრივი შემცირება მინიმალურ ეფექტურ დოზამდე.

ტოლერანტობის შემცირებისთვის, უნდა შევასვენოთ 3 თვეში 1-ხელ 2 კვირით.

იმიპრამინის მთავარი გვერდითი მოვლენა კარდიოტოქსიურობაა და ზედოზირებამ შეიძლება ფატალურ შედეგამდეც მიგვიყვანოს. მედიკამენტი უნდა იყოს შენახული ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.

თუ ანამნეზში არის სინკოპე, უეცარი კარდიული სიკვდილი, არასტაბილური არითმია, უნდა გამოირიცხოს გახანგრძლივებული QT ინტერვალის სინდრომი (ელექტროკარდიოგრამის გახანგრძლივებული ჩანაწერით) თერაპიის დაწყებამდე.

სხვა გვერდითი ეფექტები არ არის საშიში. მედიკამენტის მიღებას, ასევე, შეიძლება თან ახლდეს ხასიათის ცვლილება, უძილობა, გულისრევა. ეს პრობლემები ხშირად თავს იჩენს, სანამ მედიკამენტის სარგებლიან დოზამდე ავალთ.

ზომიერი გვერდითი ეფექტები ხშირ შემთხვევაში თანდათან ქრება მკურნალობის გაგრძელების შემთხვევაშიც კი.



სხვა თერაპია

რამდენიმე კვლევამ აჩვენა პოზიტიური შედეგი სხვა თერაპიებზე.

მიმდინარეობს კვლევები სხვადასხვა თერაპიის შესახებ, როგორცაა: აკუპუნქტურა, დიეტოთერაპია. არსებობს მოსაზრება, რომ ეს თერაპიები აერთიანებს დიურეზულ-ანტიდიურეზულ მკურნალობას და იმიპრამინის არაკარდიოტოქსიურ ალტერნატივას წარმოადგენს.

მკურნალობის რეკომენდებული სტრატეგია

თერაპია გაურთულავალ შემთხვევაში

ამ ეტაპზე არის 2 პირველი რიგის თერაპია, ესენია ენურეზის მალვიდარა და დესმოპრესინი

ორივე საკმაოდ ეფექტურია, და არჩევანის საშუალება ეძლევა პაციენტის და ოჯახს.

მალვიდარა საუკეთესოა კარგად მოტივირებული ოჯახისთვის და ბავშვებისთვის, რომლებსაც არ აქვთ პოლიურია, თუმცა აქვთ მცირე მოცულობის შარდის ბუშტი.

დესმოპრესინი საუკეთესოა ბავშვებისთვის, რომელთაც აქვთ ღამის პოლიურია და შარდის ბუშტის რეზერვაციის ნორმალური ფუნქცია, ასევე, მათთვის, ვის შემთხვევაშიც მალვიდარას თერაპია უშედეგო აღმოჩნდა, ან უარი განაცხადა ამ ტიპის მკურნალობაზე.

ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია ავირჩიოთ 2 სტრატეგია, მათ შორის 1) წარვუდგინოთ ოჯახს მალვიდარას და დესმოპრესინის დადებითი და უარყოფითი მხარეები და მივცეთ ოჯახს საშუალება თავად მიიღონ გადაწყვეტილება ან 2) გავაკეთებინოთ ოჯახს მოშარდვის დღიური დღის და ღამის შარდის გაზომვით.

ბავშვებში, ვისთანაც 1 პირველი რიგის თერაპია უეფექტო აღმოჩნდა, რეკომენდებულია სხვა პირველი რიგის თერაპიის შეთავაზება.

შეფასება და მკურნალობა

თერაპია-რეზისტენტულ ბავშვებში

ენურეზის მქონე ბავშვები, რომლებიც არ პასუხობენ არცერთ პირველი რიგის თერაპიას, საჭიროებენ დაკვირვებას.

ამ ბავშვების უმეტესობას აქვთ პოლისიმპტომური ენურეზი, განპირობებული განპირობებული შარდით, დღისით შეუკავებლობით, მოშარდვის იმპერატიული მოთხოვნებით, ან სხვა სიმპტომები.

ზოგიერთ თერაპია-რეზისტენტულ ბავშვებს არ აქვთ პირველი რიგის თერაპია სწორად ჩატარებული. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ ოჯახის წევრებს ვკითხოთ როგორ იყენებდნენ მალვიდარას.

თერაპია-რეზისტენტულ ბავშვებში მიღებული და გამოყოფილი სითხის რეგისტრაცია სავალდებულოა.

ასევე, რეკომენდებულია ულტრაბგერის ჩატარება, რათა გაიზომოს შარდის ბუშტის კედლის სისქე (კედლის სისქის გაზრდა დეტრუზორის არასტაბილურობაზე მიუთითებს) და ასევე, ულტრაბგერაზე ნანახი ნაწილაკთა შებერილობა, შეიძლება შეკრულობაზე მიუთითებდეს.

ასევე, რიგ შემთხვევებში თერაპიების მიმართ რეზისტენტულობა ფსიქიატრიულ დაავადებებზე მიუთითებს და ასეთ შემთხვევაში საჭიროა ფსიქოლოგის კონსულტაცია.

შემდეგი თერაპიული მცდელობა ამ ბავშვებში უნდა იყოს ანტიქოლინერგული საშუალებები (გამორიცხული უნდა იყოს ყაბზობა ან უნდა უტარდებოდეს შესაბამისი მკურნალობა ამ პრობლემის გამო). შესაძლოა საჭირო გახდეს პრეპარატის კომბინირება დესმოპრესინთან. თუ ესეც არ არის წარმატებული, იმიპრამინით მკურნალობა შეიძლება იყოს შემდგომი საფეხური, იმ პირობით, რომ ყველა უსაფრთხოების საკითხი მოგვარებულია.

ღამის პოლიურიის მქონე ბავშვებში მალვიდარას თერაპიის ხელახლა ჩატარება დესმოპრესინთან ერთად, შეიძლება სარგებლის მომტანი იყოს.

რეზიუმე

ენურეზის მართვის თანამედროვე პრინციპები ბავშვთა ასაკში

ნინო გელდიასვილი, ეკატერინე გაფრინდაშვილი, კეთევან კვათაძე, გურამ ჩიტაია, მედეა ცანავა, თამარ აბულაძე, დავით კვირკველია, ნინო კვირკველია (საქართველო თბილისი)

შრომაში განხილულია ენურეზის მართვის თანამედროვე პრინციპები ბავშვთა ასაკში საკუთარი კლინიკური შემთხვევის გათვალისწინებით.

შრომაში არსებული მასალის ღრმა კლინიკური ანალიზით გაკეთებული დასკვნები დიდ დახმარებას გაუწევს როგორც პრაქტიკოს ექიმებს ასევე სამეცნიერო შრომებით დაკავებულ კოლეგებს.

SUMMARY

MODERN PRINCIPLES OF ENURESIS MANAGEMENT IN CHILDHOOD

NINO GELDIASHVILI, EKATERINE GAFRINDASHVILI, KETEVAN KVATADZE, GURAM CHITAYA, MEDEA TSANAVA, TAMAR ABULADZE, DAVIT KVIRKVELIA, NINO KVIRKVELIA (Tbilisi, Georgia)

Modern principles of enuresis management in children's age are discussed in the work, taking into account their own clinical case.

Conclusions made by deep clinical analysis of the material in the work will be of great help to both practicing doctors and colleagues engaged in scientific work.



შარდის ბუშტ-შარდსანვეთის რეფლუქსი ბავშვთა ასაკში


ძმთეზან ძვათაძი, გურამ ჩიტაია, მელა ცანაზა, თამარ აბულაძე, ნინო კვიციანი, დავით კვიციანი, ნინო გელდიანაშვილი, ეკატერინე გაფრინაშვილი (საქართველო თბილისი)

განმარტება – შარდის ბუშტ-შარდსანვეთის რეფლუქსი (VUR) – არის შარდის უკუდინება შარდის ბუშტიდან ზემო საშარდე სისტემაში (შარდსანვეთებში და თირკმლებში). რეფლუქსი შეიძლება იყოს უნილატერალური და ბილატერალური.

რეფლუქსის აღმოჩენის ისტორია იწყება რომელიც ექიმის გალენის მიერ ადამიანის ორგანოებზე დაკვირვება – გამოკვლევებიდან. XV საუკუნეში ლეონარდო და ვინჩი ჩანახატებში დეტალურად აღწერა შარდ სასქესო სისტემა, შარდის ბუშტ-შარდსანვეთის რეფლუქსი და შარდის ბუშტიდან შარდის უკუდინების პრევენციისათვის რეფლუქსის საწინააღმდეგო მექანიზმი ჩამოაყალიბა (). რეფლუქსის კლინიკური მნიშვნელობა უკავშირდება ფრანგი ქირურგის სამუელ პოზის სახელს, რომელმაც 1893 წელს ნეფრექტომიის დროს შარდსანვეთის გადაკვეთისას დაადასტურა რეფლუქსის არსებობა (). 1952წ. ჰათჩმა რეფლუქსსა და პიელონეფრიტს შორის კავშირი დაადასტურა ().

შარდის ბუშტ-შარდსანვეთის რეფლუქსი (VUR) შეიძლება იყოს პირველადი (თანდაყოლილი) და მეორადი (შეძენილი).

ბავშვები, რომელთაც აქვთ პირველადი VUR იზადებიან შარდსანვეთის სარქველოვანი აპარატის ანომალიით. ჩვეულებრივ, შარდის ბუშტიდან შარდი შარდსანვეთებში არ ადის. შარდსანვეთის ბუშტ შიდა (ინტრავეზიკალური) ნაწილის სიგრძის შეფარდება შარდსანვეთის დიამეტრთან უნდა იყოს მინიმუმ 5:1. ამ შეფარდების დარღვევისას ვითარდება რეფლუქსი. შარდის ბუშტ-შარდსანვეთის რეფლუქსის დიაგნოსტიკურა მნიშვნელოვანია ადრეულ ასაკში, თირკმლის დაზიანების თავიდან ასაცილებლად.



უმეტეს შემთხვევაში პირველადი, მსუბუქი ხარისხის რეფლუქსის სპონტანური უკუგანვითარება ხდება პაციენტის ზრდასთან ერთად. შარდის ბუშტის ზრდასთან ერთად იზრდება შარდსანვეთის ბუშტ შიდა ნაწილის სიგრძე და შედეგად რეფლუქსის საწინააღმდეგო მექანიზმი უმჯობესდება.

მეორადი VUR, რომელიც შედარებით იშვიათია, ხშირად ასოცირდება შარდის ბუშტის ანატომიურ ან ფუნქციურ ობსტრუქციასთან (მაგ. ნეიროგენული შარდის ბუშტი, უკანა ურეთრის სარქველი, შარდის ბუშტის და ნაწლავის დისფუნქცია). ობსტრუქციის ხარისხი და დაავადების მიმდინარეობა რეფლუქსის სიმძიმეზე გავლენას ახდენს.

ყოველდღიური დაკვირვება გვიჩვენებს, რომ შარდის ბუშტ-შარდსანვეთის რეფლუქსი შეიძლება ჰქონდეთ პაციენტებს ურეთერო-ჰიდრონეფროზით და საშარდე გზების ინფექციით.

გავრცელება – გამოკვლეული 2000 (ბიჭი – 1048, გოგო – 942) ახალშობილიდან 1% აღმოაჩნდა VUR. მათგან ბავშვების 30% ჰქონდა ცხელებით მიმდინარე საშარდე გზების ინფექცია, ანტენატალურად დადასტურებული ჰიდრონეფროზი – 15%.

საშარდე გზების ინფექციის მქონე ბავშვებში რეფლუქსის აღმოჩენის ალბათობა ასეთია: <1წ. – 70%, 1-4 წ. – 25%, 4-12 წ. – 15%, 12 -18 წ. – 5.2% ()

VUR გამოვლენის რისკი განსვადდება ეთნიკრობის, ასაკის და სქესის მიხედვით. შედეგები გამოქვეყნდა ამერიკის შეერთებული შტატების ერთ ერთ ქალაქში ჩატარებული კვლევის შედეგად, სადაც მიქციური ცისტოგრაფიის სკრინინგი ჩატარდა 15 504 ბავშვს, 3361 ბავშვს გამოუვლინდა შარდის ბუშტ შარდსანვეთის რეფლუქსი. კვლევის შედეგები ასეთია:

ეთნიკური – VUR თეთრკანიან ბავშვებში 3-ჯერ უფრო მეტად გვხვდება, ვიდრე შავ კანიანებში. ეს აიხსნება პოლიგენური მემკვიდრეობიდან – გენეტიკური ევოლუციის შედეგად. მიზეზი ბოლომდე შესწავლილი არ არის (AAP).

სქესი – VUR გოგონებში ბიჭებთან შედარებით ორჯერ უფრო ხშირია, თუმცა სქესობრივი სხვაობა მცირეა იმ ქვეყნებში, სადაც რუტინულად არ ტარდება წინადაცვეთა პრენატალურად დადასტურებული ჰიდრონეფროზის მქონე პაციენტებში რეფლუქსის არსებობა ჭარბობს ბიჭებში ().

ასაკი - VUR მეტად აღენიშნება მცირე ასაკის ბავშვებს და ჩვილებს (<2 წელზე). ვინაიდან დაავადება ძირითად შემთხვევაში ბავშვის ასაკის ზრდასთან ერთად უკუგანვითარებას განიცდის

გენეტიკა – გენეტიკური წინასწარგანწყობა გამოკვლეულია პირველადი შარდის-ბუშტ შარდსანვეთის რეფლუქსის არსებობის დროს. კვლევებით დადგინდა რომ VUR ის მქონე ბავშვების დედამამიშვილებში გადაცემის ალბათობა არის – 27.4%, ხოლო მშობლების შემთხვევაში -35.7% ().


გენეტიკური დამემკვიდრება არ არის ბოლომდე შესწავლილი. კვლევის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე გენის ჩართულობა.

კლინიკური გამოვლინება: პრენატალურად გამოვლენილი ჰიდრონეფროზი, ეჭვს ბადებს შარდის ბუშტ-შარდსანვეთის რეფლუქსის არსებობაზე.

პოსტნატალურად შარდის ბუშტ-შარდსანვეთის

რეფლუქსის არსებობაზე დიაგნოსტიკება ხდება ცხელებით მიმდინარე საშარდე გზების ინფექციის გადატანის შემდეგ. იშვიათად იკვლევენ ოჯახური ანამნეზით დატვირთულ ბავშვებს ან ბავშვებს რომელთან გამომუშავებული აქვთ ტუალეტის ჩვევები და აღენიშნებათ ბუშტ-ნაწლავის სინდრომი, შესაძლოა განუვითარდეთ შარდის ბუშტ-შარდსანვეთის რეფლუქსი.

დიაგნოსტიკა: VUR-ის დიაგნოსტიკისთვის ოქროს სტანდარტად ითვლება მიქციურ ცისტოურეთროგრაფია. ალტერნატიული კვლევებია რადიოიზოტოპური და ულტრასონოგრაფიული ცისტოგრაფია. ცისტოგრაფიისგან განსხვავებით არ აქვს გამოსხივება, თუმცა ულტრასონოგრაფიული კვლევა დაბალი ხარისხის რეფლუქსის არსებობას ვერ ასახავს. ასევე არ ვიზუალიზირდება შარდის ბუშტის ანატომიური დარღვევები და ბიჭებში სარქველოვანი ანომალიები (8).



მიქციური ცისტოგრაფია უტარდება ბავშვებს: რომელსაც გადატანილი აქვთ ცხელებით მიმდინარე საშარდე გზების ინფექცია.

საშარდე გზების ინფექცია გამონეწული ნაწლავის ჩხირისგან განსხვავებული მიკრობით.

თანდაყოლილი ორმხრივი ჰიდრონეფროზი, ინფექციის გარეშე, ცისტოგრაფია უნდა გაუკეთდეს დაბადებიდან რამდენიმე დღეში.

ცალმხრივი ჰიდრონეფროზი და საკონტროლო ექსოკოპიით დილატაციის ხარისხი იზრდება.

ბავშვებს საშარდე გზების ინფექციით, რომელთაც ექსოკოპიით გამოუვლინდა საშარდე სისტემის ნებისმიერი სახის ანომალია (მენჯ-შარდსანვეთის კუთხის შევიწროება, გაორებული შარდსანვეთი, შარდის ბუშტის დივერტიკული, თირკმლის აგენეზია, თირკმლის ექტოპია, ურთეროცელე, მულტიცისტური დისპლაზია, ასიმეტრიული თირკმლები..)

ოჯახური ანამნეზით დატვირთულ ბავშვებს – შერჩევითად (VUR დედამამიშვილებში). ეს საკითხი ჯერ კიდევ საკამათოა.

VUR-ის საერთაშორისო კლასიფიკაციით გამოყოფილია ხუთი ხარისხი, რაც მნიშვნელოვანია დინამიკაში დაკვირვების და მკურნალობისათვის: (9)

I ხარისხი – შარდის უკუდინება აღინიშნება მხოლოდ შარდსანვეთებში (გაგანიერების გარეშე) – მსუბუქი ხარისხი.

II ხარისხი – შარდის უკუდინება აღინიშნება შარდსანვეთში და მენჯ-ფიალოვან სისტემაში – მსუბუქი ხარისხი.

III ხარისხი – შარდის უკუდინებასთან ერთად აღინიშნება შარდსანვეთის და მენჯ ფიალოვანი სისტემის მსუბუქი ხარისხის გაგანიერება – საშუალო ხარისხი.

IV ხარისხი – შარდის უკუდინებასთან ერთად აღინიშნება შესამჩნევად გაგანიერებული შარდსანვეთი და მენჯ ფიალოვანი სისტემა. ზოგჯერ შარდსანვეთი დაკლაკლილია – მძიმე ხარისხი.

V ხარისხი – შარდის მასიური უკუდინება და მნიშვნელოვნად გაგანიერებული მენჯ-ფიალოვანი სისტემა. ასევე შარდსანვეთი შნიშვნელოვნად გაგანიერებული და დაკლაკნილია -მძიმე ხარისხი.

დაავადების მართვის მიზანია: საშარდე გზების ინფექციის განმეორების პრევენცია, თირკმლის დაზიანების პრევენცია (ნაწიბურის გაჩენა), ბუშტ-ნაწლავის დისფუნქციის დიაგნოსტიკა და მართვა (10).

დაავადების მართვა:

1. ხანგრძლივი ანტიბაქტერიული თერაპია
2. ენდოკოპიური კორექცია-დეფლუქსით
3. ქირურგიული კორექცია – ღია წესით

საშარდე გზების ინფექციის, პიელონეფრიტის და ცისტიტის ეპიზოდების პრევენცია გულისხმობს ანტიბაქტერიული მედიკამენტის ყოველდღიურ მიღებას. მკურნალობის მიზანი არის რეფლუქსირებადი თირკმლის დაცვა ბაქტერიული დაზიანებისგან. ბოლო კვლევებით რეფლუქსის მკურნალობის ეს მეთოდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

ანტიბაქტერიული მკურნალობის ჩვენება:

- * ყველა პაციენტს ვისაც არ აქვს „ტუალეტის ჩვევები“ მიუხედავად რეფლუქსის ხარისხისა
- * ყველა პაციენტს შარდის ბუშტ -ნაწლავის დისფუნქციით მიუხედავად რეფლუქსის ხარისხისა
- * ყველა პაციენტს ვისაც აქვს მაღალი ხარისხის რეფლუქსი -III, IV, V.

მკურნალობა და მართვა დამოკიდებულია შემდეგ კომპონენტებზე:

- * შარდის ბუშტ-ნაწლავის დისფუნქციის გამოვლენა ტუალეტის ჩვევების სწავლების ასაკში.
- * რეფლუქსის ხარისხის გათალისწინებით უკუგანვითარების შესაძლებლობა.
- * თირკმლის დაზიანების რისკი.
- * მკურნალობაზე ბავშვის პასუხი.
- * მშობლების მიერ არჩეული ჩარევა და მკურნალობა.

ბავშვებს რომელთაც აქვთ I ან II ხარისხის რეფლუქსი ნაკლებია რისკი პიელონეფრიტის და თირკმლის დაზიანების განვითარების.

მკურნალობის საკითხი უნდა განიხილოს ოჯახთან ერთად, მიეცეს ინფორმაცია ანტიბაქტერიულ პროფილაქტიკაზე, ქირურგიულ ჩარევაზე და ბიჭების შემთხვევაში წინადაცვლათაზე (თუ არ აქვთ გაკეთებული) ოჯახის ჩართულობა მთავარ როლს თამაშობს საბოლოო თერაპიული გადაწყვეტილების მიღებაში (11).

ანტიბაქტერიული პროფილაქტიკა უნდა ჩატარდეს ბავშვებს რომელთაც არ აქვთ ტუალეტის ჩვეუბნი და ბავშვებს რომელთაც აქვთ შარდის ბუშტ-ნაწლავის დისფუნქცია.

ქირურგიული ჩარევა – ქირურგიული ჩარევა არ არის რეკომენდებული ვინაიდან I-II ხარისხის რეფლუქსი არის მსუბუქი და ხშირ შემთხვევაში მოსალოდნელია თვითგანკურნება.

III, IV, V ხარისხი რეფლუქსის დროს საჭიროა ანტიბაქტერიული მკურნალობა, რადგან მაღალია რისკი განმეორებითი პიელონეფრიტის, თირკმლის დაზიანების განვითარების და პოტენციურად თირკმლის ქრონიკული დაავადების განვითარების (12).

მიდგომა ასეთია:

* ანტიბაქტერიული მკურნალობა უტარდება ყველა პაციენტს.

* თუ პაციენტს აღენიშნება შარდის ბუშტ-ნაწლავის დისფუნქცია აუცილებლად უნდა ჩატარდეს შესაბამისი მკურნალობა და ტრენინგი.

ქირურგიული ჩარევის ჩვენება

III, IV, V რეფლუქსის დროს ქირურგიული ჩარევა ღია ან ენდოსკოპიური წესით, განიხილება და წყდება მშობლებთან ერთად.

რეფლუქსი რომელიც პერსისტირებს 2-3 წლის ასაკში ქირურგიული ჩარევა შეიძლება გადავადდეს ორი ან სამი წლით. რეფლუქსის ხარისხის სიმძიმისა, არის შანსი თვითგანკურნების.

მედიკამენტები:

ანტიბაქტერიული მედიკამენტები ინიშნება საპროფილაქტიკო

დოზით, დღეში ერთხელ ძილის წინ: ტრიმეტოპრიმი, ტრიმეტოპრიმ-სულფომეტოქსაზოლი ან სულფომეტოქსაზოლი ცალკე, ნიტროფურატონი, ცეფაქლორი, ცეფიქსიმი (13).

ამოქსიცილინი ან ამპიცილინი და ცეფალოსპორინები არ არის რეკომენდებული რეზისტენტობის გაზრდის გამო. თუმცა რეკომენდებულია დაინიშნოს 2 თვემდე ასაკის ბავშვებში იმიტომ, რომ ტრიმეტოპრიმი ან ნიტროფურატონი შეიძლება გამოიწვიოს ჰიპერბილირუბინემია. მედიკამენტის შეცვლა დამოკიდებულია გვერდით ეფექტებზე ან მგრძობელობაზე.


ანტიბაქტერიული პროფილაქტიკა წყდება მაშინ, როდესაც VUR ხარისხი მცირდება მსუბუქამდე ან ქრება. ან როდესაც ტარდება რეფლუქსის სანინალმდეგო ქირურგიული ჩარევა. მიუხედავად ამისა პროფილაქტიკური მკურნალობის შეწყვეტაზე საბოლოო მტკიცებულება არ არის.

გართულებები – ხანგრძლივი ანტიბაქტერიული პროფილაქტიკის გვერდითი ეფექტებია: გულსრევა და ლებინება, მუცლის ტკივილი, პრეპარატისადმი რეზისტენტობა, ძვლის ტვინის სუპრესია და ძალიან იშვიათად სტივენ ჯონსონის სინდრომი. ახალშობილებში – მედიკამენტთან ასოცირებული ჰიპერბილირუბინემია (სულფანილამიდი და ნიტროფურატონი).

ენდოსკოპიური მკურნალობა – პროცედურა არის ნაკლებ ინვაზიური. ცისტოსკოპის საშუალებით შარ-



დასანვეთის შემოსვლის კუთხეში შეჰყავთ დეფლუქსი (დეხტრანომერ/hyaluronic acid) და ვინროვდება შარდასანვეთის დიამეტრი. რაც ხელს შეუშლის შარდის უკუდინებას.



დეფლუქსით ჩარევის შედეგები ასეთია:

- * I ხარისხი – 89 %
- * II ხარისხი – 83 %
- * III ხარისხი – 71 %
- * IV ხარისხი – 59 %
- * V ხარისხი – 62 %

ანტირეფლუქს ქირურგია ღია წესით ხშირ შემთხვევაში წარმატებულია. ღია წესით ქირურგიული ჩარევის მიდგომებია: Cohen, Glenn-Anderson და Lich-Gregoir (14).

პაციენტის მითვალსუროების გზა:

პაციენტებთან, რომელთაც უტარდება ანტიბაქტერიული პროფილაქტიკა ან მცირე ხარისხის რეფლუქსის გამო იმყოფებიან დაკვირვების ქვეშ, მონიტორინგი მოიცავს ინფექციის რეციდივის დადგენას.

ყოველი ვიზიტის დროს უნდა შეფასდეს პაციენტის წონა, სიგრძე და განისაზღვროს არტერიული წნევა ცხელების ან საშარდე სისტემის მხრივ ცვლილების (დოზურია, შარდის უსიამოვნო სუნი, შემღვრევა..) შემთხვევაში – შარდის საერთო ანალიზი და შარდის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.

რეფლუქსის მონიტორინგი – საკონტროლო ცისტოგრაფია უნდა ჩატარდეს 18-24 თვემდე.

საშარდე სისტემის ექოსკოპიით ხდება დინამიკაში თირკმლების ზრდის მონიტორინგი და ნაწიბურის დადგენა.

DMSA (დიმერკაპტოსუქცილის მჟავა) სცინტიგრაფია – რადიოიზოტოპური კვლევა რომელიც აფასებს თირკმლების მოფრფოლოგიას, სტრუქტურას და ფუნქციას. გამოკვლევის დროს პრეპარატი ერთვება მხოლოდ თირკმლის ჯანსაღ ქსოვილში.

შარდის ბუშტ-შარდასანვეთის რეფლუქსის დროს შეიძლება ადვილად განვითარდეს პიელონეფრტი – შარდის ბუშტიდან თირკმლებამდე ბაქტერიების ტრანსპორტის გზით, რასაც ხშირად მიყვარათ თირკმლის შეუქცევად დაზიანებამდე, ჰიპერტენზიამდე და თირკმლის უკმარისობამდე. დაავადების ადრეული დიაგნოსტიკა ამიცირებს თირკმლის დაზიანების რისკს.

ავტორები:

(1) Urodynamics in the anatomical work of Leonardo da Vinci (1452–1519) Authors and Affiliations Department of



Urology, Hannover Medical School, Dirk Schultheiss, Volker Grünewald & Udo Jonas.

(2) Hutch JA. Vesico-ureteral reflux in the paraplegic: cause and correction. J Urol. 1952;68:457-467. [PubMed] [Google Scholar][Ref list]

(3) Hutch J A. Vesico - ureteral reflux in the paraplegic: cause and correction. J Urol195268457-469. [PubMed] [Google Scholar][Ref list]

(4) M Hiraoka 1, C Hori, H Tsukahara, K Kasuga, Y Ishihara, F Kotsuji, M Mayumi

<https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/10201014/>

(6) Deepa H Chand 1, Torre Rhoades, Stacy A Poe, Steven Kraus, C Frederic Strife

<https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/14501657/>

(5) AU-Giovanni Montini 1, Luca Rigon, Pietro Zucchetta, Federica Fregonese, Antonella Toffolo, Daniela Gobber, Diego Cecchin, Luigi Pavanello, Pier Paolo Molinari, Francesca Maschio, Sergio Zanchetta, Walburga Cassar, Luca Casadio, Carlo Crivellaro, Paolo Fortunati, Andrea Corsini, Alessandro Calderan, Stefania Comacchio, Lisanna Tommasi, Ian K Hewitt, Liviana Da Dalt, Graziella Zacchello, Roberto Dall'Amico; IRIS Group

Affiliations expand PMID: 18977988 DOI: 10.1542/peds.2007-3770

<https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/18977988/>

(7) AU-Steven J Skoog 1, Craig A Peters, Billy S Arant Jr, Hillary L Copp, Jack S Elder, R Guy Hudson, Antoine E Khoury, Armando J Lorenzo, Hans G Pohl, Ellen Shapiro, Warren T Snodgrass, Mireya Diaz

Affiliations expand PMID: 20650494 DOI: 10.1016/j.juro.2010.05.066

<https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/20650494/>

(8) Complications of voiding cystourethrography in the evaluation of infants with prenatally detected hydronephrosis.

AU - Vates TS, Shull MJ, Underberg-Davis SJ, Fleisher MH J Urol. 1999;162(3 Pt 2):1221.

(9) Establishing a Standard Protocol for the Voiding Cystourethrography

AU: Frimberger D, Mercado-Deane MG, Section on Urology, Section on Radiology

SO: Pediatrics. 2016;138

(10) Recurrent Urinary Tract Infections in Children With Bladder and Bowel Dysfunction

Nader Shaikh 1, Alejandro Hoberman 2, Ron Keren 3, Nathan Gotman 4, Steven G Docimo 5, Ranjiv Mathews 6, Sonika Bhatnagar 2, Anastasia Ivanova 4, Tej K Mattoo 7, Marva Moxey-Mims 8, Myra A Carpenter 4, Hans G Pohl 9, Saul Greenfield 10

<https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/26647376/>

(11) PubMed TI The outcome of stopping prophylactic antibiotics in older children with vesicoureteral reflux.

AU Cooper CS, Chung BI, Kirsch AJ, Canning DA, Snyder HM 3rd

SO J Urol. 2000;163(1):269.

(12) PubMed TI -Results of a randomized clinical trial of medical versus surgical management of infants and children with grades III and IV primary vesicoureteral reflux (United States). The International Reflux Study in Children. AU- Weiss R, Duckett J, Spitzer A SO -J Urol. 1992;148(5 Pt 2):1667.

(13) Antibiotic resistance patterns of community-acquired urinary tract infections in children with vesicoureteral reflux receiving prophylactic antibiotic therapy Chi-Hui Cheng 1, Ming-Horng Tsai, Yhu-Chering Huang, Lin-Hui Su, Yong-Kwei Tsau, Chi-Jen Lin, Cheng-Hsun Chiu, Tzou-Yien Lin

(14) PubMed TI -Summary of the AUA Guideline on Management of Primary Vesicoureteral Reflux in Children. AU -Peters CA, Skoog SJ, Arant BS Jr, Copp HL, Elder JS, Hudson RG, Khoury AE, Lorenzo AJ, Pohl HG, Shapiro E, Snodgrass WT, Diaz M SO J Urol. 2010;184(3):1134.

The European Association of Urology (EAU) Paediatric Urology Guidelines

რეზიუმე

შარდის ბუშტ-შარდსანვეთის რეფლუქსი გავრცობა ასაკში

ქეთევან ქვათაძე, გურამ ჩიტაია, მედეა ტანავა, თამარ აბულაძე, ნინო კვირკველია, დავით კვირკველია, ნინო გელდიასვილი, ეკატერინე გაფრინდაშვილი (საქართველო თბილისი)

შრომაში გაკეთებული დასკვნაა, რომ შარდის ბუშტ-შარდსანვეთის რეფლუქსის დროს შეიძლება ადვილად განვითარდეს პიელონეფრიტი – შარდის ბუშტიდან თირკმლებამდე ბაქტერიების ტრანსპორტის გზით, რასაც ხშირად მივყავართ თირკმლის შეუქცევად დაზიანებამდე, ჰიპერტენზიამდე და თირკმლის უკმარისობამდე. დაავადების ადრეული დიაგნოსტიკა ამიცირებს თირკმლის დაზიანების რისკს.

SUMMARY

BLADDER-URETERAL REFLUX IN CHILDREN

AUTHORS: KETEVAN KVATADZE, GURAM CHITAYA, MEDEA TSANAVA, TAMAR ABULADZE, NINO KVIRKVELIA, DAVIT KVIRKVELIA, NINO GELDIASHVILI, EKATERINE GAFRINDASHVILI (Tbilisi, Georgia)

The conclusion made in the work is that pyelonephritis can easily develop during bladder-ureteral reflux - through the transport of bacteria from the bladder to the kidneys, which often leads to irreversible kidney damage, hypertension and kidney failure. Early diagnosis of the disease reduces the risk of kidney damage.



ალპორტის სინდრომი

ეკატერინე გაფრინდაშვილი, მელა ცანავა, გურამ ჩიტაია, ქეთევან ძვამაძე, ნინო გელდიანაშვილი, თამარ აბულაძე, ნინო კვიციანი, ლავითი კვიციანი. (საქართველო თბილისი)

შესავალი

ალპორტის სინდრომი -AS (მემკვიდრული ნეფრიტი) მემკვიდრეობითი გლომერულური დაავადების პროგრესული ფორმაა, რომელიც ხშირად ხასიათდება ნეიროსენსორული სმენის დაქვეითებით და მხედველობასთან ასოცირებული ანომალიებით.

ბენეტიკა

ალპორტის სინდრომი გენეტიკურად ჰეტეროგენული დაავადება, რომელიც გამოწვეულია კოლაგენ IV ის ალფა-3, ალფა-4 და ალფა-5 ის მაკოდირებული გენების პათოგენურობით.

კოლაგენ IV ის ალფა ჯაჭვები ჩვეულებრივ თირკმლის, ყურისა და თვალის სხვადასხვა ბაზალურ მემბრანებზეა განთავსებული.

დეფექტური ბაზალური მემბრანების არსებობა სწორედ ამ ჯაჭვების ანომალიებთანაა დაკავშირებული, რომელიც შემდგომ კონკრეტული დაავადებების კლინიკურ გამოვლინებებს იწვევს (მაგ: პროგრესული გლომერულური დაავადება, ნეიროსენსორული სმენის დარღვევა და თვალის ანომალია).

ალპორტის სინდრომის დამემკვიდრების ტიპებია: X-შეჭიდული, აუტოსომურ რეცესიული, აუტოსომურ დომინანტური, იშვიათ შემთხვევებში დიგენური.

● პაციენტების უმრავლესობას, რომელთაც უვლინდება თირკმლის პროგრესული დაავადება, სმენის დარღვევა, აღენიშნება X-შეჭიდული გადაცემა, რომელიც X ქრომოსომაზე COL4A5 გენის დარღვევითაა განპირობებული.

● აუტოსომურ რეცესიული დაავადება ვლინდება პაციენტთა 10-15 %, გენეტიკური დეფექტი წარმოადგენილია COL4A3 და COL4A4 გენებში.

● აუტოსომურ დომინანტური დაავადება ვლინდება – 20-30%, დამახასიათებელია თირკმლის პროგრესული დაზიანება და შესაძლოა განვითარდეს COL4A3 და COL4A4 გენის ჰეტეროზიგოტური ვარიანტის არსებობის გამო.

● ზოგიერთ ოჯახში ვლინდება დიგენური დამემკვიდრება, რაც ორი ან სამი გენის ვარიანტის ერთდროულად გადაცემას გულისხმობს.

ეპიდემიოლოგია

ალპორტის სინდრომი ვლინდება ყველა გეოგრაფიულ და ეთნიკურ ჯგუფში. ზოგადი პოპულაციის სტატისტიკა უცნობია. ბავშვებთან, რომლებმაც ჩაიტარეს თირკმლის ბიოფსია, ალპორტის სინდრომის სიხშირე 1 დან 12 პროცენტამდე მერყეობს და დამოკიდებულია ბიოფსიის ჩატარების ჩვენებაზე.

თირკმლისმიერი გამოვლინება

ალპორტის სინდრომის პირველადი გამოვლინება თირკმლისმიერია – ასიმპტომური პერსისტული მიკ-

როსკოპული ჰემატურია, რომელიც დაავადებულ პაციენტებს ადრეული ბავშვობიდანვე აღენიშნებათ. იმის გამო რომ შარდის საერთო ანალიზი ბავშვებში სკრინინგულად იშვიათად ტარდება შესაძლოა მიკროსკოპული ჰემატურია შეუმჩნეველი დარჩეს და მხოლოდ შემთხვევით ან დაავადებული ოჯახის წევრის ყოლის გამო ჩატარებული ანალიზით გამოვლინდეს. მაკროსკოპული ჰემატურია შესაძლოა პირველი შესამჩნევი სიმპტომი იყოს და ხშირად ვლინდება ზედა სასუნთქი გზების ინფექციის გადატანის შემდეგ. მაკროჰემატურიის განმეორებითი ეპიზოდები იშვიათია არაა, განსაკუთრებით პედიატრიული ასაკის პაციენტებთან. მამაკაცებს, რომლებსაც 10 წლის ასაკამდე არ ჰქონიათ ჰემატურია ნაკლებსავარაუდოა აღენიშნებოდეთ ალპორტის სინდრომი. ამ სინდრომის მქონე პაციენტებს, C3 კომპლემენტის ნორმალური მაჩვენებელი აქვთ. ადრეულ ბავშვობაში შრატში კრეატინინისა და არტერიული წნევის მაჩვენებელი ნორმალურია. დროთა განმავლობაში ვითარდება პროტეინურია, ჰიპერტენზია და თირკმლის პროგრესული დაზიანება. თირკმლის დაზიანება X-შეჭიდული ან აუტოსომურ რეცესიული დამემკვიდრების მქონე პაციენტებთან დაახლოებით 16-35 წლის ასაკში ვლინდება.

ზოგიერთ შემთხვევაში, მაგ: აუტოსომურ დომინანტური ალპორტის სინდრომის დროს თირკმლის დაზიანება გვიან, დაახლოებით 45-70 წლის ასაკში ვითარდება.

მდედრობითი სქესის X- შეჭიდული ფორმის მქონე პაციენტებს ადრეულ ასაკში განვითარებული თირკმლის დაზიანებისა და შემდგომ დისფუნქციის გამო აღენიშნებათ: მორეციდივე მაკროჰემატურია, პროტეინურია, სმენის დაქვეითება და გლომერულური ბაზალური მემბრანის დიფუზური გასქელება და ლამელაცია.

სმენის დარღვევა/დაკარგვა – X-შეჭიდულ და აუტოსომურ რეცესიული ალპორტის სინდრომის დროს ორმხრივი ნეიროსენსორული სმენის დაკარგვა საკმაოდ ხშირი მოვლენაა. სმენის კარგვა მაღალი სიხშირის ბგერებით იწყება და პროგრესირებს, საბოლოოდ რთულდება ყოველდღიური კომუნიკაცია. სმენის დარღვევის მაჩვენებელი თირკმლის დაზიანების პროპორციულად იცვლება, თუმცა სმენის იმ ხარისხის დაღვევა, რომელიც სასმენი აპარატით ვერ კორექტირდება იშვიათია.

თვალისმიერი/თვალის გამოვლინებები – ალპორტის სინდრომის მქონე პაციენტებში ზოგჯერ თვალისმიერი დეფექტები ვლინდება (მაგ: ბროლის, ბადურისა და რქოვანის).



• ბროლი – ბროლის კაფსულის გათხელების გამო ის გამოიდრიკება წინა მხარეს, ამ მდგომარეობას წინა ლენტეციკონუსი ეწოდება. აღნიშნული ცვლილება X-შეჭიდული ალპორტის სინდრომის მქონე მამრობითი სქესის პაციენტების 20-30% ვლინდება და ამ დაავადებისთვის პათოგენომურია. ლენტეციკონუსი შესაძლოა სუბკაფსულური კატარაქტით გართულდეს, რომელსაც მოგვიანებით მხედველობის სიმახვილის დარღვევა მოჰყვება.

• ბადურა – ბადურასთან ასოცირებული ცვლილებები როგორც წესი ასიმეტრიულია, ხოლო წინა ლენტეციკონუსის არსებობისას სუბიექტური ჩივილი ყოველთვის ვლინდება. ცვლილება მოიცავს ორმხრივ თეთრ ან ყვითელ ზედაპირულ გრანულაციებს, რომელიც გარს არტყავს ფოვებს არეს. ეს ცვლილებები ასევე სპეციფიურია ალპორტის სინდრომისთვის.

• რქოვანა – ალპორტის სინდრომის მქონე პაციენტებთან რქოვანის ცვლილებები შესაძლოა მოიცავდეს უკანა პოლიმორფულ დიზმორფიასა და მორეციდივე ეროზიებს, რომელსაც შესაძლოა მწვავე ტკივილი ახლდეს.

არტერიული დაავადება - მამრობითი სქესის ახალგაზრდა პაციენტებში გულმკერდისა და მუცლის აორტის ანევრიზმები, ინტრაკრანიალური ანევრიზმის ერთეული შემხვევები ვლინდება.

ფენოტიპ-გენოტიპის კორელაცია

თირკმლის დაზიანების პროგრესირება დაავადებული პირის გენოტიპზე დამოკიდებულია.

• **X-შეჭიდული ალპორტის სინდრომი** – დელეციისა და ნონსენს მუტაციის მქონე პაციენტებთან, მისენსთან შედარებით, დაავადება მეტად სწრაფად პროგრესირებს.

